პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 206 (13022) | ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მეგობრული მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. მიკოიანმა მეგობრულად და გულითადად მიულოცეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ხო ში მინს, ლე ზუანს, ჩიონგ ტინსა და ფამ ვან დონგს და მოძმე ვიეტნამელ ხალხს ეროვნული დღესასწაული — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 19 წლისთავი.

მისასალმებელ დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, რაც მიღწეულია ვიეტნამელი ხალხის თავდადებული შრომის შედეგად ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულია თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა, ეხმარებოდა და ეხმარება ვიეტნამელ ხალხს მის შემოქმედებით შრომაში.

ჩვენი ქვეყნების ხალხებს, ხაზგასმით არის აღნიშნული დეპეშაში, აერთიანებს საერთო მიზნები ბრძოლაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის. დე მომავალშიც განუხრელად განვითარდებ ხაბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალისტური ბანაკის ერთობისა და ძლიერების განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის. (საკდესი).

რთველი კარს მოგვადგა

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად საქართველოში მევენახეობა - მეღვინეობამ, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთმა უძველესმა და ძირითადმა დარგმა, მაღალ განვითარებას მიაღწია. ჩვენი რესპუბლიკის მევენახეებმა დიდი მუშაობა გასწიეს შვიდწლედის მეექვსე წლის ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად. ქიმიის, მექანიზაციისა და ირიგაციის ფართოდ დანერგვის შედეგად რესპუბლიკის მევენახეებმა საკმაო წარმატებას მიაღწიეს.

ყურძენი დამწიფდა, ზოგან რთველიც დაიწყო. იკრიფება სუფრის ჯიშის ყურძენი. სულ მალე დაიწყება სამრეწველო ყურძნის კრეფაც. მევენახეთა ღირსების საქმეა ბოლომდე მიიყვანონ კარგად დაწყებული საქმე, და სამშობლოს მისცენ 215.000 ტონა ყურძენი.

ამისათვის იბრძვიან ყვარელი, გურჯაანელი, თელაველი, ზესტაფონელი, გორელი, ცხინვალი, სიღნაღელი, გარდაბნელი, ბოლნისელი, მაიაკოვსკელი, საჩხერელი და სხვა რაიონების მევენახეები.

მიუხედავად შარშანდელი ავდრებისა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენებისა, რამაც ძლიერ დააზიანა ვაზი, მევენახეებმა არ დაიზარეს შრომა, მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით მოკლე დროში ვენახები გამოაკეთეს.

მევენახეებს, სპეციალისტებს მაინც უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისინი სულ-ტად იბრძვიან ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. ისეთი პროგრესული მეთოდის დანერგვისათვის, როგორიც ვაზის ჩაწიდვნაა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1962 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ რეკომენდაციაც კი დაუგზავნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ნაკლებად ზრუნავენ. სიმეჩხრის ლიკვიდაციისთვის ბრძოლა სათანადო სიმაღლეზე რომ იყოს, მაშინ ყურძნის მოსავალი უფრო მეტი იქნებოდა.

ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ვენახებში წლის ყოველ დროს მიმდინარეობს, მაგრამ რთველი ყველაზე სპასასუხისმგებელი კამპანიაა. იგი სიუხვისა და სიხარულის პერიოდია, რთველისათვის მზადება და ყურძნის კრეფის მოკლე დროში დამთავრება სახელმწიფოებრივი და სახალხო საქმეა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის მოღება და გადამუშავებაც მეტად პასუხსაგები საქმეა. ეს კი „სამტრესტის“ ღვინის საწარმოთა სპეციალისტებისაგან, მუშებისაგან მოითხოვს მუშაობის ახლებურად მოწყობას.

როგორც ვიცით, რესპუბლიკაში წელს უნდა დამზადდეს 215 ათასი ტონა ყურძენი, აქედან „სამტრესტის“ ღვინის ქარხნები მიიღებენ და გადაამუშავებენ 210 ათას ტონაზე მეტ ყურძენს. ამიტომ „სამტრესტის“ მთელი კოლექტივი მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას. წელს ბევრი სიახლე იქნება ყურძნის მიღება-გადამუშავებაში. ძირითადად ქარხნებში მასობრივად დაინერგება უწყვეტი ნაკადური ხაზები, ე. ი. ყურძნის გადამუშავება მოხდება უწყვეტ ნაკადად. ამით შესაძლებელია მიღწეულ იქნას საგრძნობი ეკონომია და გაუმჯობესდეს ღვინის ხარისხიც. წელს ამუშავდება და პირველად მიიღებს და გადაამუშავებს 3.500 ტონამდე ყურძენს ზუგდიდის ღვინის ქარხანა. ახალი განყოფილებები გაიხსნება აგრეთვე თერჯოლის, მუკუზნის და სხვა ღვინის ქარხნებში.

ყურძნის შერჩევით კრეფა დაიწყო. ბოლნისის, გარდაბნის და სხვა საწარმოო სამმართველოებში უკვე იკრიფება სუფრის ყურძენი. დიდძალ ყურძენს იღებენ ქალაქების მშრომელები. სულ მალე დაიწყება სამრეწველო ყურძნის კრეფაც.

რედაქციაში შემოსული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან რთველისათვის მზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგალითად, გეგეჭკორის ღვინის ქარხანაში ყველაფერი რიგზე როდია. აქ ანტისანიტარია. იქ, სადაც ყურძენი უნდა მიიღონ და გადაამუშაონ, შენობები შეკეთებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, კახური ღვინოების გასაყენებლად საუკეთესოა ქვევრები. გურჯაანის რაიონის ველისციხის ღვინის ქარხანამ 45 ქვევრი უნდა მოამზადოს. ყურძნის მოღება და გადამუშავება სულ მალე დაიწყება, ქარხანას კი ყველა ქვევრი როდი აქვს მზად. აქ ფერხდება რკინაბეტონის ბუტების მშენებლობაც. არ მყოფნით რეზინის მილები, გოგირდის ანჰიდრიდი და ტუმბოები.

ამინდის პროგნოზის მიხედვით სექტემბერში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა. ეს კი საფრთხეს უქმნის დროულად და უდანაკარგოდ კრეფასა და გადამუშავებას. ამიტომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვალდებული არიან აქედანვე შეადგინონ ყურძნის კრეფისა და მიღება-ჩაბარების მტკიცე კალენდარული გეგმები. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ყურძნის კრეფა დაიწყონ შერჩევით და რთველი ჩაატარონ რაც შეიძლება შემჯიდროებულ ვადებში. დასახონ ღონისძიებები დანაკარგების, ყურძნის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილებისათვის.

სამტრესტის საწარმოებს ევალებათ ყურძნის შეუფერხებლად მიღების, საუკეთესოდ გადამუშავებისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენების მიზნით აქედანვე სერიოზული ღონისძიებანი განახორციელონ ღვინის ქარხნებში. რთველის დაწყებამდე 10-15 დღით ადრე ყველა ქარხანაში საკმაო რაოდენობით უნდა იყოს მზად ტარა-ჭურჭელი და ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარები, მიღებულ იქნას ღონისძიებანი, ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენებისათვის.

საწარმოო სამმართველოების, პარტიული კომიტეტების, სოფლის ყველა კომუნისტის, მევენახეების, მეღვინეების საპატიო ვალია ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ რთველს და ინტენსიფიკაციის პირველ წელს სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, სამშობლოს მისცენ მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ქართული სუფრის ღვინო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჩრდილოეთის ფლოტის მურმანსკის დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1964 წელს თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის ჩრდილოეთის ფლოტის მურმანსკის დრამატული თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტელნიკოვი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი.
1964 წლის 1 სექტემბერი.

ამ ბოგო-ბიჭებს ხელში „დედა ენა“ უჭირავთ. თავისთავად მიხვდებით, მკითხველო, რომ ისინი პირველკლასელები არიან. სხვა პატარებთან ერთად მათაც დიდად გაიხარეს, პირველ სექტემბერს სასწავლო მერხებს რომ მიუსხდნენ.

ბავშვებს სახეზე ეტყობათ, რომ აინტერესებთ, თუ რას ეტყვის მათ პატივცემული თამარ მასწავლებელი და სიხარულითა და სიყვარულით შესცინინებენ თვალებში.

თბილისის 39-ე საშუალო სკოლის პედაგოგი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი თამარ ვაჩიბერიძე პირველად როდი ხვდება ახალბედებს. მის ხელში ასობით ასეთებს გაუვლიათ და ბევრი მათგანი ახლა გამოჩენილი ადამიანები არიან. თამარი ახლაც სიყვარულით აკვირდება პატარებს. აქედანვე ცდილობს არაფერი გამორჩეს, ყველას მიუალერსოს, გასცეს პასუხი ბავშვების გულუბრყვილო კითხვებზე, რომლებიც მათ სკოლაში მისვლასთან ერთად დაებადათ. ჩინებული ბავშვები არიან, ფიქრობს თამარი, და იმედიანი დედურად უალერსებს მათ.

ფოტო ს. ...ილაძისა.



ევიდნლედი — ვადამდე!

მომჯირნეობა — ყველგან, ყველაფერში

ფეიქრები გვპირდებიან

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით მომმზარებელს 335 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა.

მაგრამ ფაბრიკის საქმიანობაში ვხვდებით ისეთ ნაკლოვანებებს, რომელნიც შავ ლაქებად ჩანან საერთო წარმატებათა ფონზე. ეს პირველ რიგში ითქმის იმაზე, რომ ყველა ასორტიმენტის ნაწარმი რენტაბელური როდია, პირიქით, ზარალიანია. ეს გამოწვეულია ნედლეულის ხარჯვის ნორმების სისტემატური დარღვევით. ამას ხელს უწყობს მუშათა დაბალი კვალიფიკაცია. ხელოვნური აბრეშუმის მამაკაცის სახალათე „ოტლანდკას“ (არტიკული 3223) წარმოებით მარტო შვიდ თვეში ფაბრიკამ 4.600 მანეთი იზარალა, ხოლო სასარჩლე ქსოვილის სარეალ წარმოებით — 6.000 მანეთი. ხელფასის გადახარჯვამ შვიდ თვეში 17 ათას მანეთს გადააჭარბა.

სწორედ ეს საკითხები იყო ყურადღების ცენტრში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ამასწინანდელ საერთო კრებაზე, რომელმაც განიხილა მოსკოვის თხუთმეტი საწარმოს, თბილისის კირთვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის და რუსთაველი მეტალურგების პატრიოტული თაოსნობა.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა:

1. ყველა სახის პროდუქციის გამოშვება გახდოს მომგებიანი;
2. 1964 წლის საწარმოო გეგმა შეასრულოს 26 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 550 ათასი მანეთის პროდუქცია. ხამი აბრეშუმის ქსოვილის გამოშვების წლიური დავალება შეასრულოს 22 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 200 ათასი მეტრი აბრეშუმის ხამი ქსოვილი.
3. გეგმასთან შედარებით პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება გაზარდოს 0.5 პროცენტით.
4. წინა წელთან შედარებით 0,3 პროცენტით შეამციროს დაზგების ფაქტიური გაცდენა და 0.2 პროცენტით გაზარდოს დაზგის ნაყოფიერება.
5. დაზოგოს 45 ათასი მანეთის ელექტროენერგია, სათბობი, ნედლეული და დამხმარე მასალები.
6. პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 0,4 პროცენტით.
7. შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1,5 პროცენტით.

69.000 მანეთი — მოგება

ქუთაისი. (საკ. კორ.). შარშან ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა 18.000 მანეთით ნაკლები მოგება მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მიმდინარე წლის შვიდ თვეში კი ზუსტად ამდენივე თანხით გადააჭარბეს მოგების დავალებას და მთლიანად 69.000 მანეთი მოიგეს.

ფეიქრებმა მოსკოვის საწარმოთა, აგრეთვე რუსთაველი მეტალურგებისა და თბილისელი ჩარხმშენებლების მაგალითისამებრ გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს, მნიშვნელოვნად გაადიდონ თვითეული ნაკეთობის რენტაბელობა, წლის ბოლომდე სამმობლოს მისცენ 40.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის პირობის გასანაღდებლად. აქ რვა თვის დავალების გადამტებით უკვე 130.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

სქართველო—სახალხო ვიეტნამს

ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა გაგზავნა ტელეგრამები ხალხთა მეგობრობისა და ეროვნულ-ეროვნული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირისა და საზოგადოება „სსრ კავშირ-იაპონიის“ მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა საზოგადოება „იაპონია-საბჭოთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე სიტირო მაცუმოტო მეუღლითურთ.

ცნობილი მეჩაიის, ორგანიზაციის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას ბრიგადას ზუგდიდში მეჩაიეთა სკოლას უწოდებენ. აქ წლების მანძილზე ჩაის კრეფის ბევრი სახელოვანი ოსტატი აღიზარდა.

ეს ქალიშვილი, რომელსაც სურათზე ხედავთ, ციალა თოდუაა. იგი ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა. ისიც თამარის მოწაფეა, მის ბრიგადაში მუშაობს. ც. თოდუამ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ვალდებულება. დამატებით იკისრა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ფოტო გ. მაჭაცარიასი.

ფოთლის კრეფის გადამწყვეტი დღეები

ფოთლის კრეფის გადამწყვეტ დღეებში, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ბეჟიამ, — ჩვენი რაიონის მეჩაიეები ბეჯითად მუშაობენ. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, გუშინ მოიკრიფა 200 ტონამდე ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 34.700 ტონა ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 95,4 პროცენტს შეადგენს.

ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფისა და პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად სოფელ **რუხის** კოლმეურნეობამ გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრიფა 1.700 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით პირნათლად შეასრულა „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა. ახლა რუხელი მეჩაიეები იმისათვის ებრძვიან, რომ სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოკრიფონ სამას ტონაზე მეტი ფოთოლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა გაანაღდეს **კახათის, ჯიბასკარის, ახალ ხიბულის, ძველი ხიბულის, საჯიჯაოს, ფაზულანის, ჭკადუაშის** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, **წალენჯიხის** ჩაის საბჭოთა მეურნეობამ და **ინგირის** საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ. ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ უკვე მოკრიფა 2.200 ტონამდე ჩაის ფოთოლი. ამ საქმეში ავანგარდში არიან მექანიზატორები. კომპლექსური მექანიზაციის რგოლმა (ხელმძღვანელი ა. შულაია) მანქანა „საქართველოთი“ მოკრიფა 1.405 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“, ასევე თავი ისახელეს მექანიზატორებმა **გ. ფარცვანიამ, ს. ბიბიამ** და სხვებმა.

ვის არ ახარებს რუხის კოლმეურნეობის წევრის ეთერ კიკალეიშვილის, საჯიჯაოს კოლმეურნეობის წევრი თინა ოყუჯავას და სხვათა წარმატებები. თვითეულმა მათგანმა უკვე შვიდი ათასოთხასი კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფა.

...ბენ, იმარჯვებენ

ცხაკაიელი მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 5 სექტემბრისათვის შეასრულონ. სეზონის დაწყებიდან გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 10.120 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 97,1 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ ხაბუმის ლენინის სახელობის, მუხურის რუსთაველის სახელობის, თეკლათის ბაბაჯანიძის სახელობის, ახალსოფლის, ზხეფის, ნოქალაქევის, ლეძაძამის, მუხურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა. მათ დიდიხანია, რაც შეასრულეს „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს წლიური გეგმის ზევით კრეფენ.

...ბენ, ...ბენ

ბაბაიელი მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 5 სექტემბრისათვის შეასრულონ. სეზონის დაწყებიდან გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 10.120 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 97,1 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ ხაბუმის ლენინის სახელობის, მუხურის რუსთაველის სახელობის, თეკლათის ბაბაჯანიძის სახელობის, ახალსოფლის, ზხეფის, ნოქალაქევის, ლეძაძამის, მუხურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა. მათ დიდიხანია, რაც შეასრულეს „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს წლიური გეგმის ზევით კრეფენ.

...ბენ, ...ბენ

ბაბაიელი მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 5 სექტემბრისათვის შეასრულონ. სეზონის დაწყებიდან გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 10.120 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 97,1 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ ხაბუმის ლენინის სახელობის, მუხურის რუსთაველის სახელობის, თეკლათის ბაბაჯანიძის სახელობის, ახალსოფლის, ზხეფის, ნოქალაქევის, ლეძაძამის, მუხურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა. მათ დიდიხანია, რაც შეასრულეს „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს წლიური გეგმის ზევით კრეფენ.

200.000 ტონა ჩაისათვის!

მოძმე ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ამხანაგ ანტონინ ნოვოტნისთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებთან ერთად იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ქალაქგარეთა რეზიდენციაში — ლანში პრაღის მახლობლად.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები განაგრძობდნენ მეგობრულ საუბრებს.

1 სექტემბერს საღამოს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ანტონინ ნოვოტნი პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების წევრებთან ერთად პრაღაში დაბრუნდნენ.

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით დღეს ეცნობოდა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

დილით საბჭოთა სტუმრები ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა თანხლებით ეწვივნენ მეფრინველეობის ფაბრიკას „ქაჟვეროვს“ პრაღის ერთ-ერთ საგარეუბნო რაიონში. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა და დელეგაციის სხვა წევრებმა დაათვალიერეს ეს უახლესი საწარმო და მეგობრულად ესაუბრნენ მის მუშაკებს.

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ეწვია შუა ჩეხეთის ოლქის კოლინის რაიონის ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „სვობოდას“. კოოპერატორი გლეხები აღტაცებით მიეალმნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, დაათვალიერებინეს მათ თავიანთი მეურნეობა და გააცნეს საწარმოო საქმიანობა.

...ბენ, ...ბენ

ბაბაიელი მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ, რომ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 5 სექტემბრისათვის შეასრულონ. სეზონის დაწყებიდან გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 10.120 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 97,1 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდნენ ხაბუმის ლენინის სახელობის, მუხურის რუსთაველის სახელობის, თეკლათის ბაბაჯანიძის სახელობის, ახალსოფლის, ზხეფის, ნოქალაქევის, ლეძაძამის, მუხურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობა. მათ დიდიხანია, რაც შეასრულეს „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა და ახლა ფოთოლს წლიური გეგმის ზევით კრეფენ

იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან მაო ძე-დუნის საუბრის გამო

ᲐᲑᲐᲡ წინათ იაპონიაში გამოქვეყნდა მაო ძე-დუნის საუბარი იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან, რომლებიც პეკინში იყვნენ. ბურჟუაზიულმა მეგაზეთეებმა ხოტბა შეასხეს მის მიერ გამოთქმულ აზრებს — მათ მოეწონათ ის, რასაც ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარე ამბობდა. საუბრის შინაარსი ისეთია, რომ პირველხანად ძნელი დასაჯერებელიც კი იყო, რომ ასეთი საუბარი მართლაც მოხდა. განა ცოტა რამეს წერენ ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ მოწამლონ საერთაშორისო ვითარება, ერთმანეთს წაჰკიდონ სოციალისტური ქვეყნები.

ვფიქრობდით, რომ პეკინი უარყოფდა ამ ცნობას, მაგრამ იგი არ უარუყვიათ. პირიქით, ჩინეთის ხელმძღვანელმა მოდაწეებმა გვაგრძნობინეს, რომ იაპონის პრესის მიერ გამოქვეყნებულ მაო ძე-დუნის ინტერვიუს მართლაც ჰქონდა ადგილი. საბჭოთა წარმომადგენელმა პეკინში განმარტებისთვის მიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვან ბინ-ნანს, რომელმაც განაცხადა, რომ „თუ მაო ძე-დუნმა ასე ილაპარაკა, იგი მას ეთანხმება“. 1 აგვისტოს იაპონურმა გაზეთმა „ასახიმ“ დაბეჭდა ჯოუ ენ-ლაის განცხადება. ამ განცხადებაში არსებითად იგივე აზრებია, რაც მაო ძე-დუნის საუბარში.

ყოველივე ამის შემდეგ ეჭვი არ რჩებოდა, რომ იაპონიის პრესამ ნამდვილად გადმოსცა ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარის განცხადება.

ეს საუბარი საფარველს ხდის ჩინეთის ხელმძღვანელობის მიზნებსა და პოზიციებს, რომლებზეც იგი დღემდე ხმადაბლა ლაპარაკობდა. ამიტომ სასარგებლოა გამოვაქვეყნოთ იგი, რომ საბჭოთა ადამიანებს შეეძლოთ დაინახონ, თუ რა შორს წავიდნენ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები თავიანთ ბრძოლაში ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, სოციალიზმის სხვა ქვეყნების ხალეების, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

I.

მაო ძე-დუნმა საუბარი დაიწყო აზრების გამოთქმით ეგრეთწოდებული შუალედი ზონის შესახებ. ეს თეორია წარმოიშვა ჯერ კიდევ 1946 წელს. თავდაპირველი სახით იგი შემდეგში მდგომარეობდა. ჩინეთის ხელმძღვანელები მთელ დედამიწას ყოფდნენ სამ ნაწილად, ანუ ზონად. პირველი — ამერიკის იმპერიალიზმი, ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე — საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. მესამე ზონა, რომელიც თითქოს მათ შუა იმყოფება (აქედან — შუალედი), უმთავრესად აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებია.

ახლა მაო ძე-დუნს ამ „თეორიაში“ შესწორება შეაქვს. ცილისწმენდილფრანგად აცხადებს რა, რომ სსრ კავშირი „მოურიგდა ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ბატონობისათვის საბრძოლველად“, იგი ორ ძირითად ზონას ფაქტიურად ერთ ზონად აერთებს. ამ სქემას იგი მიჰყავს ორ ზონამდე: „საბჭოთა კავშირ-ამერიკის“ და ეგრეთწოდებულ „შუალედ“ ზონამდე, რომელშიც არსებითად შეაქვს ჩინეთიც. ამრიგად, ქრება მსოფლიოს ორ მოპირისპირე სოციალურ სისტემად გაყოფა, რომელიც მიღებულია ყველა მარქსისტის მიერ.

შუალედი ზონის, ჩინელი თეორეტიკოსთა სიტყვებით, განასახიერებს რევოლუციასა და პროგრესს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისინი, ამ თეორიის თანახმად, „მოირგდნენ“ მსოფლიო ბატონობისათვის საბრძოლველად. აქედან გამომავალ დასკვნა, რომ საჭიროა შუალედი ზონის ხალხთა ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამასთანავე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ასეთია ჩინეთის ხელმძღვანელობის თეორიული ვარჯიშის მთავარი დანიშნულება.

იმის თქმა, რომ შუალედი ზონის თეორიას საერთო არა აქვს რა მარქსიზმთანო, ძალიან ცოტა რამის თქმას ნიშნავს. ეს არა მარტო არამარქსისტული, არამედ აგრესიული ანტიმარქსისტული, ანტილენინური კონცეფციაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს საზოგადოების ცხოვრების ყველა მოვლენისადმი კლასობრივ მიდგომაში, ყველა ამ მოვლენის ყველაზე მოწინავე კლასის — პროლეტარიატის პოზიციებიდან შეფასებაში. სწორედ ასეთი მიდგომა უდგეს საფუძვლად ჩვენი ეპოქის ანალიზს, რომელიც მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ მოცემულია მოსკოვის თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში. თანამედროვე სამყარო იყოფა არა გეოგრაფიულ ზონებად, არამედ მოპირისპირე საზოგადოებრივ სისტემებად — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებად. ჩვენი ეპოქის ძირითად შინაარსს შეადგენს რევოლუციური გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე: თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალები — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, კაპიტალის ქვეყნებში მუშათა მოძრაობა, ერთგულულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა — ერთდებიან ერთიან ფრონტად და ერთად ავიწროებენ იმპერიალიზმს, აღწევენ ახალ და ახალ წარმატებებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

აი სწორედ ეს კლასობრივი მიდგომა ხელს არ აძლევთ პეკინელ თეორეტიკოსებს. ისინი მას მთლიანად უარყოფენ. მათს „შუალედ ზონებში“ თანაბარი უფლებებით შედიან როგორც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნები, ისე იმპერიალისტური სახელმწიფოები; როგორც კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, მშრომელი მასები, ისე მმართველი ბურჟუაზია. ერთი სიტყვით, როგორც პოეტი ამბობს, „ცხენ-კაცისა დადგა გროვა“, ისე თავმჯდომარე მაომ შუალედ ზონაში ერთ გროვად აყარა ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები, მჩაგვრელები და ჩაგრულები.

საუბარში ნათქვამია: „აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა ხალხი ილაშქრებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ აგრეთვე ევროპა, კანადა და სხვა ქვეყნები“. მიაქციეთ ყურადღება, არა ევროპისა და კანადის მშრომელები, არამედ მთელი ევროპა და მთელი კანადა კაპიტალისტური მონოპოლიების, რეაქციული ბურჟუაზიული პარტიების, ფრანგი „ულტრების“, ბონელი რევანშისტების და სხვა მსგავსთა ჩათვლით. ყველა ესენი თურმე იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი არიან, და რევოლუციურ მოძრაობას სხვა არა რჩება რა გარდა იმისა, რომ მიესალმოს თავის რიგებში ბატონ კრუპებს, ტისენებს, როტშილდებს და, შესაძლოა, თვით გენერალ ფრანკოსაც.

შუალედი ზონის თეორიის თანახმად, მსოფლიოში ამბების მსვლელობას განსაზღვრავს არა ანტაგონისტური კლასებისა და მოპირისპირე სოციალური სისტემების ბრძოლა, არამედ სახელმწიფოებისა და გეოგრაფიული რაიონების ერთი ჯგუფის ბრძოლა მეორის წინააღმდეგ. იგი, ეს თეორია, ფაქტიურად უგულებელყოფს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, და არა მარტო უგულებელყოფს კლასობრივ მიდგომას, არამედ ცვლის მას უაღრესად ნაციონალისტური, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა დიდმპყრობელური პოლიტიკის მიზნებით ნაკარნახევი მიდგომით.

ხელმძღვანელობენ რა ასეთი მიდგომით, ჩინელი ლიდერები თავიანთ საშიშ პოლიტიკურ თამაშს ეწევიან. რამდენადაც სოციალისტური ბანაკი მათ მიაჩნიათ დაბრკოლებად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ჰეგემონისტური ზრახვების განხორციელების გზაზე, ისინი ცდილობენ მოაკვეთონ ეს მოძრაობა სოციალიზმის მსოფლიო სისტემას. სწორედ ამიტომ აკიწიწებენ ისინი პირველ შუალედ ზონას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისაგან, ჩინეთის ჩათვლით. რამდენადაც შემდეგ ჩინეთის ხელმძღვანელები საერთაშორისო ასპარეზზე მდიდარ ეკონომიურ პარტნიორებსა და პოტენციურ მოკავშირეებს ეძებენ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, მათ თოჯრის მთელი კაპიტალისტური სამყარო შეაქვთ შუალედ ზონაში და აძლევენ მას „იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლის“ მანდატს.

გარდა ამისა, თავმჯდომარე მაო დროდადრო პერსონალურ მანდატებს აძლევს იმ იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომლებსაც პეკინი განსაკუთრებული გულმოდგინეთი ეალიკეცება. ჯერ კიდევ გუშინ ჩინელი პროპაგანდისტები გენერალ დე გოლს „ფაშისტსა და ბანდიტს“ უწოდებდნენ. მაგრამ საკმარისი იყო მას გადაკვრით ეთქვა, შესაძლოა პეკინთან დაახლოებაო, რომ გენერალი ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთ-ერთ უაღრესად აქტიურ მებრძოლად გადაიქცა. უფრო მეტიც. ჩინეთის ხელმძღვანელები მთელ რიგ განცხადებებში აშკარა გადაკრულად ამბობენ, რომ „საფრანგეთს შეუძლია აღადგინოს თავისი გავლენა აზიაში“.

ასეთ მაგალითებს ვხვდებით იმ საუბარშიც, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ. იაპონია განვითარებული ქვეყანაა, ამბობს მაო ძე-დუნი, „მას შეუძლია ბევრ რამეში გაგვიწიოს დახმარება. პოლიტიკურადაც ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუჭერდეთ მხარს“. სათანამშრომლოდ ამ მიწვევას იგი აქვე განმარტავს მსმენელთა, რომელიც ეძლევა მთლიანად ქვეყანასაც კი არა, არამედ მის მმართველ კლასს. „იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალი მეორე შუალედ ზონას ეკუთვნის, — ამბობს მაო ძე-დუნი. — ისიც კი უკმაყოფილოა ამერიკის შეერთებული შტატებით, მისი ზოგიერთი წარმომადგენელი კი აშკარად გამოდის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. თუმცა ამყამად იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაშია, მაგრამ გავა დრო, და იგი მოიშორებს ამერიკის უღელს“, გამოდის, რომ თავის და უცხო მჩაგვრელთა უღელს მოიშორებს არა იაპონელი ხალხი, არა მუშათა კლასი, როგორც ამას იაპონელ მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები ამბობენ, არამედ მონოპოლისტური კაპიტალი მოიშორებს თავისი ამერიკელი თანამოძმის უღელს.

მაშასადამე, საფრანგეთისა და იაპონიის მონოპოლისტურ კაპიტალს ანტიიმპერიალისტების თანრიგს მიაკუთვნებენ. ხვალ რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებმა თავიანთთვის ხელსაყრელად მიიჩნიონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არცნობის თავიანთი პოლიტიკის გადასინჯვა და შესთავაზონ მას ეკონომიური თანამშრომლობა, — მათაც მიეცემათ „იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა“ მანდატი? საჭირო გახდება ამერიკის შეერთებული შტატების შეტანაც „შუალედ ზონაში“?

ჩვენ თავმჯდომარე მაო ძე-დუნის მადლობელი უნდა ვიყოთ — მასზე უკეთესად არავის არ გამოუაშკარავებია ჩინეთის ხელმძღვანელობის ქეშმარიტი მიზნები. შუალედი ზონის თეორია უიმედო, უნიადაგო ცდაა რაღაც „იდეური ბაზა“ შეუქმნან აშკარა ნაციონალისტურ პოლიტიკას. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის, აგრეთვე საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტებს შორის არის წინააღმდეგობანი, წარმოებს ბრძოლა გასაღების ბაზრებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის. რევოლუციური ძალები იყენებენ ამ წინააღმდეგობებს. მაგრამ ერთია იმპერიალიზმის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენება მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის საერთო ბრძოლის ინტერესებისათვის, მეორეა კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ლაციცი და ბლოკის შეკვრა. ჩინელი ლიდერები კი, თავიანთ თავს ინტერნაციონალისტებს რომ უწოდებენ, ნამდვილად მზად არიან შეუთანხმდნენ ვიხაც ენებავთ სახალხო ჩინეთის მეგობრებისა და მოკავშირეების წინააღმდეგ — საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრძოლას, რომელსაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ეწევა, მაო ძე-დუნმა „ქაღალდზე ომი“ უწოდა და დაძინა, რომ ასეთი ომი არავის არაფერს არ უშავებს, რადგან ასეთ ომში დახოცილები არ არიან ხოლმეო. აქ, ჯერ ერთი, იმ ფაქტის ადიარებაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მომძე პარტიებთან პოლემიკას ჩინელი ლიდერები განიხილავენ როგორც „თავისებურ ომს“. მეორე, აქ ნათლად იჩენს თავს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა უგულებელმყოფელი დამოკიდებულება მსოფლიო კომუნისტური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის ინტერესებისადმი. მთელი მსოფლიოს კომუნისტები დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმ მდგომარეობის გამო, რომელიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შეიქმნა ჩინეთის ხელმძღვანელთა მიზეზით. ზიანი, რაც მათ მიაყენეს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეს, უყველასათვის ცხადია, მაო ძე-დუნი კი აცხადებს: შესაშფოთებელი არაფერია, ეს ხომ ისეთი ომია, რომელშიც დახოცილები და მსხვერპლი არ არიან!

არა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, თუ რა კვალიფიკაციას აძლევენ ჩინეთის ხელმძღვანელები თავიანთ მოქმედებას. მათი ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, სსრ კავშირის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ „ქაღალდზე ომი“ როდია. თავისი სიმძაფრით, თავისი მასშტაბითა და მეთოდებით იგი არ განსხვავდება სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალიზმის „ცივი ომისაგან“.

II.

რამდენად შორს წავიდნენ ჩინეთის ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივ ომში“, ეს ნათლად ჩანს მაო ძე-დუნის მიერ ტერიტორიულ საკითხზე გამოთქმული აზრებიდან. იგი არა მარტო პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ საბჭოთა ტერიტორიაზე, არამედ თავის პრეტენზიებს სახავს რაღაც „საერთო ტერიტორიული საკითხის“ ნაწილად.

ჩვენს წინაშეა აშკარა ექსპანსიონისტური პროგრამა შორს გამიზნული პრეტენზიებით.

ეს პროგრამა დღეს და გუშინ კი არ გაჩენილა. 1954 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოიცა ახალი ისტორიის სახელმძღვანელო ჩინეთის რუკით, რომელიც ჩინეთს სახავდა ისეთად, როგორიც იგი, ავტორთა აზრით, ოპიუმის პირველ ომამდე იყო. ამ რუკის მიხედვით ჩინეთის შემადგენლობაში შედიოდა ბირმა, ვიეტნამი, კორეა, ტაილანდი, მალაია, ნეპალი, ბუტანი, სიკიმი; ჩრდილოეთით საზღვარი ტანგოფის მთავრებილს მიჰყვებოდა და სსრ კავშირს აქრიდა შორეულ აღმოსავლეთის მხარეს; დასავლეთით ჩინეთის შემადგენლობაში შეტანილი იყო ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, უზბეხეთის ნაწილი (ბალხაშის ტბამდე). ჩინეთის ტერიტორიადვე იყო აღნიშნული სახალინი. ყველა ეს მიწები და ქვეყნები, თუ სახ-ელმძღვანელოს დავუჯერებთ, „ჩინეთის სახელმწიფო ტერიტორია“ იყო და მას ეაერთვა.

იმ დროს გვეგონა, რომ ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა უყურადღებობის ან ნაციონალისტური ელემენტების პროვოკაციული ხასიათობის შედეგი იყო. მაგრამ შემდგომმა ამბებმა გააბათილა ასეთი ვარაუდი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კვლავ გამოდიოდა რუკები, რომლებზეც ნინეთის ტერიტორიად აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირის, აგრეთვე ჩინეთის მეზობელი სხვა ქვეყნების ხან ეს, ხან ის რაიონები.

უკანასკნელ ხანს ჩინეთის წარმომადგენლებმა ხულ უფრო ხშირად იწყეს მოხსენიება ასეულ ათასობით კვადრატული კილომეტრი საბჭოთა ტერიტორიისა, რომელიც „სამართლის მიხედვით“ თითქოს ჩინეთს ეკუთვნის.

პეკინში ამას წინათ გამოსული ჟურნალი „ლიში იანძიოუ“ (1964 წლის № 4) შეიცავს მტკიცებას, თითქოს „რუსეთმა მითტაცა ვრცელი მიწები მდინარე ხეიულძიანის (მდინარე ამურის ჩინური სახელწოდება. — რედ.) ჩრდილოეთით და მდინარე უსურის აღმოსავლეთით“... „რუსეთმა სხვადასხვა დროს მოახდინა ვრცელი მიწების ანექსია სინძიანში და ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიაზე“.

ახლა მაო ძე-დუნი თავის საუბარში აცხადებს: „დაახლოებით ასი წლის წინათ ბაიკალის აღმოსავლეთით მდებარე რაიონი ოუ-ეთის ტერიტორია გახდა, და მას შემდეგ ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, კამჩატკა და სხვა პუნქტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიას წარმოადგენენ. ჩვენ ჯერ კიდევ არ წარგვიდგენია ანგარიში ამ რეალურად“.

მაშ რა უფლებით აცხადებენ ჩინეთის ხელმძღვანელები პრეტენზიებს იმ მიწებზე, რომლებიც ჩინეთს არ ეკუთვნოდა? ისინი იმოწმებენ იმას, რომ მრავალი ასეული წლის წინათ ამ რაიონებში მისულან ჩინეთის ჯარები და რომ ჩინეთის ბოგდიხანი ოდესღაც ხარკს კრეფდა ადგილმბრივ მცხოვრებთაგან. დანამდვილებით შეიძლება ითქვას — საქმე რომ არ ეხებოდეს ესოდენ სერიოზულ საკითხს, მაშინ ასეთ „ისტორიულ არგუმენტებს“ სხვას ვერაფერს დავარქმევდით, თუ არა ბალლურს.

კაცობრიობის ისტორია აღსავსეა სახელმწიფოთა წარმოშობისა და დაცემის, ხალხთა გადასახლების მაგალითებით, რომელთა მსვლელობაში ქვეყნებს შორის საზღვრების მოხაზულობა არაერთხელ შეცვლილა. საზღვრების საკითხში „ისტორიულ დადოწმებათა“ მეთოდს თუ მიმართავ, შეიძლება დაამტკიცო ყველაფერი, რაც გნებავს. შეიძლება, მაგალითად, დაამტკიცო, რომ ინგლისი საფრანგეთის ტერიტორიაა, ვინაიდან იგი ოდესღაც ნორმანდიის ჰერცოგის სამფლობელო იყო. პირუკუ, შეიძლება დაამტკიცო, რომ საფრანგეთი ინგლისის სამფლობელია, ვინაიდან თავის დროზე, 100-წლიანი ომის პერიოდში, იგი თითქმის მთლიანად დაიპყრეს ინგლისელებმა. ასეთი არგუმენტაციის საშუალებით შეიძლება დაამტკიცო ისიც, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრები გადის მხოლოდ ჩინეთის დიდი კედლის ბაზზე, რომელიც პეკინიდან 100 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზეა. ოდესღაც ხომ იქ მართლაც გადიოდა ჩინეთის საზღვარი, რასაც თვით კედელიც მოწმობს.

მაგრამ „ისტორიულ უფლებათა“ დამოწმებანი კიდევაც რომ სერიოზულად მივიჩნიოთ, გამოირკვევა, რომ ამ შემთხვევაში ისინი სულაც არ შეესაბამებიან საქმის ფაქტიურ მხარეს. ცნობილია, რომ XVII საუკუნის შუახანებში ჩინეთის სამფლობელოები აღწევდა მხოლოდ ხინგანის ქედამდე, ე. ი. მნიშვნელოვნად შორს იყო ამურის სამხრეთით. ხინგანის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე სახლობდნენ ადგილმბრივი მკვიდრი ტომები (ევენკები, დაურები და სხვ.), რომლებიც დროდადრო მანჯურთა თავდასხმებს განიცდიდნენ და ხარკს უხდიდნენ მათ. მკვიდრი მანჯური და ჩინელი მოსახლეობა ამურისპირეთში არ ყოფილა. რუსეთის მიერ ამურის აუზის ჩრდილოეთი ნახევრის, ხოლო ჩინეთის მიერ სამხრეთი ნახევრის ათვისებით მიმდინარეობდა ფაქტიური საზღვრების გამიჯვნის პროცესი. ასი წლის წინათ საზღვრის ეს მდგომარეობა ფიქსირებულ იქნა აიგუნისა და პეკინის ხელშეკრულებებით.

არავინ არ დავობს: მეფის მთავრობა დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდა, სწორედ ისევე, როგორც თავიანთ შესაძლებლობათა მიხედვით ასეთსავე დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდნენ ჩინეთის იმპერატორები.

სხვადასხვა დროს ხან ერთი იყო უფრო ძლიერი, ხან მეორე და შესაბამისად სჯობნიდნენ ერთმანეთს. ამის შედეგი იყო ხალხთა განსახლების გარკვეული შეცვლა. მაგრამ მშრომელი ადამიანები არავითარ ტერიტორიულ დაპყრობაზე არ ფიქრობდნენ. ისინი შრომობდნენ იმ მიწაზე, რომელზეც ცხოვრება მოუხდათ, და თავიანთი ოფლით რწყავდნენ მას. შეიძლება მხოლოდ გაოცებას ეძლეოდე, რომ მოიპოვებიან ადამიანები. რომლებიც საეჭვოდ ხდიან მუშათა და გლეხთა უფლებას იმ მიწაზე, რომელზეც ძველთაგანვე ცხოვრობენ და შრომობენ, მარტო იმ საფუძველით, რომ ოდესღაც ძველ დროებაში ერთმა იმპერატორმა მეორეს სძლია, შემდეგ კი თვითონ განიცადა დამარცხება.

ფიქრობენ თუ არა ისინი, ვინც საეჭვოდ ხდის მილიონნახევარ კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორიის კუთვნილებას საბჭოთა კავშირისადმი, იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ამ პრეტენზიებს საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მთელ რიგ თაობათა მანძილზე ცხოვრობენ და შრომობენ ამ მიწაზე, მიაჩნიათ იგი საშობლოდ, თავიანთ წინაპართა მიწად.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ ახლანდელი საზღვარი ისტორიულად ჩამოყალიბდა და გაწმეკიცებულია თვით ცხოვრებით, ხოლო ხელშეკრულებანი საზღვრის შესახებ ის საფუძველია, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საოთავეში ჩაუდგა რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და ბოლომდე გაანადგურა იგი. კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში მოახდინა ჩინეთთან ყველა არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა ლიკვიდაცია. განაგრძობდა რა ლენინურ პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის გამოყენებაზე და უსასყიდლოდ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მთელი თავისი უფლებები ჩინეთ-ჩანჩურის რკინიგზისა და ამ გზის კუთვნილი მთელი ქონების ერთობლივ მართვაში. ვ. ი. ლენინი მრისხანედ გმობდა მეფის მთავრობის მიერ პორტ-არტურის მიტაცებას და მანჯურიაში შეჭრას. მაგრამ სწორედ ლენინი ამბობდა: „...ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ეს ხომ ჩვენი ქალაქია“.

საბჭოთა კავშირი სავსებით ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, რომელიც წარმოიშვა მეფის იმპერიის ნამსხვრევებზე შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად. და თუ მეფის რუსეთის საზღვრები იმპერიალისტიკ დამპყრობთა პოლიტიკით იქმნებოდა; საბჭოთა კავშირის საზღვრები ჩამოყალიბდა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე ხალხთა ნების თავისუფლად გამოხატვის შედეგად. საბჭოთა კავშირში შესული ხალხები არასოდეს და არავის არ მისცემენ ნებას ხელყონ მათი ის უფლება, რომ თვითონ წყვეტდნენ თავიანთ ბედს.

თავის საუბარში მაო ძე-დუნი წუხს მონღოლეთის ბედზე, რომელიც მისი სიტყვით, საბჭოთა კავშირმა „თავის ბატონობას დაუმორჩილა“. ეს აღშფოთების მეტს ვერაფერს გამოიწვევს. ყველასათვის ცნობილია, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა უკვე ორმოც წელზე მეტია წარმოადგენს ხუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოს და დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა უფლებით სარგებლობს. რათ დასჭირდა მაო ძე-დუნს გაეკეთებინა ასეთი აშკარად უგუნური განცხადებანი? მთელი საქმე ის არის, რომ ჩინეთის ხელმძღვანელებს ხელს არ აძლევთ არსებობა დამოუკიდებელი მონღოლეთის სახელმწიფოსი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აქვს სსრ კავშირთან და სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან. მათი სურვილია მოუსპონ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას დამოუკიდებლობა, ჩინეთის პროვინციად გახადონ იგი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები სწორედ ამაზე „მორიგებას“ სთავაზობდნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და სხვა საბჭოთა ამხანაგებს 1954 წელს პეკინში მათი ვიზიტის დროს.

ცხადია, ნ. ს. ხრუშჩოვმა უარი თქვა ამ საკითხის განხილვაზე, განუცხადა ჩინეთის ხელმძღვანელებს, რომ მონღოლი ხალხის ბედი განსაზღვრება არა პეკინში და არა მოსკოვში, არამედ ულან-ბატორში, რომ მონღოლეთის სახელმწიფოებრიობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ თვით ამ ქვეყნის მშრომელებს და სხვას არავის.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ რაღაც საყოველთაო პრინციპად გახადონ ტერიტორიული პრეტენზიები. ეს კი უკვე საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლებს ეხება. რა მოხდებოდა, ყველა სახელმწიფოს პეკინის რეცეპტის მიხედვით რომ დაეწყო ერთმანეთისადმი ურთიერთ პრეტენზიების წაყენება ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრების გადასინჯვის შესახებ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული როდია. ასეთი გზა საერთაშორისო დაძაბულობის გარდუვალი გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა, მას შეიძლება მოჰყოლოდა ხომარი კონფლიქტები აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხი განსაკუთრებით რთული საკითხია. უნდა განვასხვავებდეთ ტერიტორიული საკითხების ხასიათს. ერთია, როცა ლაპარაკია ხალხთა სამართლიან მისწრაფებაზე მოახდინონ სამარცხვინო კოლონიური სისტემის ნაშთების ლიკვიდაცია, დაუბრუნონ მათ შესაბამისი ერით დასახლებული ძველისძველი ტერიტორიები, რომლებსაც იმპერიალისტები ინარჩუნებენ. უცილობელი იყო, მაგალითად, ინდოელი ხალხის უფლება სამშობლოს წიაღში დაებრუნებინა გოა. ასევე უცილობელი იყო ინდონეზიის უფლება რესპუბლიკის შემადგენლობაში დაებრუნებინა დასავლეთი ირიანი. ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ სახალხო ჩინეთს ყველა უფლება აქვს მიაღწიოს ტაივანისა და ჰონკონგის განთავისუფლებასა და შეერთებას, რომლებიც ჩინეთის ნაწილს წარმოადგენენ და რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა ჩინელებია. ამგვარი მაგალითების რიცხვი შეიძლება გავადიდოთ.

ხულ სხვა საქმეა ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც გამომდინარეობს იმის ცდებიდან, რომ რევანშიზმი გაუკეთონ სახელმწიფოთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზღვრებს, რაიმე ფორმით თავს მოახვიონ იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გადასინჯვა, რომლებიც მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰიტლერული ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შედეგად. ხალხები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს მილიონობით და მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის ფასად, არასოდეს არ დაეთანხმებიან ასეთ მისწრაფებებს.

ეს საუბარში იაპონელ სოციალისტებთან მაო ძე-დუნი საოცარი წინდაუხედაობით ცდილობს წაშალოს იმ საერთაშორისო შეთანხმებათა მთელი სისტემა, რომლებიც მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბერლინელი ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შედეგად. ხალხები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს მილიონობით და მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის ფასად, არასოდეს არ დაეთანხმებიან ასეთ მისწრაფებებს.

ეს საუბარში იაპონელ სოციალისტებთან მაო ძე-დუნი საოცარი წინდაუხედაობით ცდილობს წაშალოს იმ საერთაშორისო შეთანხმებათა მთელი სისტემა, რომლებიც მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რომლებიც შეესაბამება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. იგი აცხადებს: „საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებული ადგილები მეტისმეტად ბევრია“ — და კიდევაც ასახელებს ზოგიერთ ტერიტორიას იმ აშკარა მიზნით, რომ საწვავი მასალა დაუმატოს ეროვნული ენებათაღელვის გასაღვივებლად. ძნელია ვიფიქროთ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელს არ ესმოდეს, თუ რა მიზეზების ძალით და რა ისტორიულ გარემოებებში ჩამოყალიბდა ახლანდელი საზღვრები სახელმწიფოებს შორის ევროპასა და აზიაში. ძნელია ვიფიქროთ მეორე რამეც — რომ მას შეგნებული არ ჰქონდეს, თუ რა უაღრესად საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს თანამედროვე პირობებში მსოფლიოს რუკის გადაკეთების ყოველ ცდას. მაო ძე-დუნი ისე გვიჩვენებს თავს, რომ ილაშქრებს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მაგრამ ვიხთვის არ არის ცხადი, რომ ასეთი პროვოკაციული მოწოდება საზღვრების გადახინჯვისაკენ (თუ მას სერიოზულად მოვეკიდებით) გარდუვალად წარმოშობდა მთელ რიგ ურთიერთ მოთხოვნებს, პრეტენზიებსა და გადაუჭრელ კონფლიქტებს ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. ყოველივე ეს რომ სავსებით აშკარაა, ეჭვს არ იწვევს და საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ასე მოქცევა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისთვისაც რაღაც მიზეზებით ხელსაყრელია დათესოს უნდობლობა და შუღლი სო

მაო ძე-დუნის საუბარი იაპონელ სოციალისტებთან

ტოკიო. (საკდესი). „თავმჯდომარე მაო ეუბნება იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაციას: კურილის კუნძულები იაპონიას უნდა დაებრუნდეს" — ასეთი სათაურით 11 აგვისტოს ყოველკვირეულ „სეკაი სიუბუნში", რომელსაც ძალი ცუსინის სააგენტო სცემს, გამოქვეყნებულია სტატია იმის შესახებ, რომ ამას წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტით იყო პარლამენტის დეპუტატ სოციალისტთა ჯგუფი კოძო სასაკის მეთაურობით. ქვემოთ უნიშვნელო შემოკლებით ვთავსებთ სტატიის თარგმანს.

• • •

პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფს იაპონიის სოციალისტური პარტიის ანტიძირითადი დაჯგუფებიდან ხუთი: კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ედგა კოძო სასაკი, 10 ივლისს პეკინში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარესთან მაო ძე-დუნთან. ამ საუბრის დროს მაო ძე-დუნმა განაცხადა, რომ იგი „მხარს უჭერს იაპონიის პოზიციას კურილის კუნძულების დაბრუნების საკითხში". ჯგუფი 12 ივლისს ჩავიდა პონკონგში და უამბო ეს იქ აკრედიტებულ იაპონელ კორესპონდენტებს. საუბრის შინაარსი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

იაპონიის სოციალისტური პარტიის შტაბის მდივანმა აკიო კასახარამ, რომელიც სასაკის ჯგუფს ახლდა, განმარტა შინაარსი მაო ძე-დუნის საუბრისა სოციალისტებთან, იმ ჩანაწერებზე დაყრდნობით, რომლებიც გააკეთეს თვით კოძო სასაკმ, სიტირო მაცუმოტომ და სიგეო ოსიბამ. ეს განმარტებანი შეიძლება დაეახასიათოთ როგორც მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც გადმოგვცემს თავმჯდომარე მაოს მიერ გამოთქმული აზრების შინაარსს.

საუბარი, რომელიც სახალხო კრებათა დარბაზში მიმდინარეობდა, არაჩვეულებრივად დიდხანს — 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. იაპონიის მხრივ საუბარს, სასაკის ჯგუფის ხუთი წევრისა და ბატონ კასახარას გარდა ესწრებოდნენ აგრეთვე ხისაოკუროდას ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით, რომელიც პეკინში ჩავიდა სასაკის ჯგუფისაგან ცალკე; კანემიცუ ხოსოსაკოს ჯგუფი — ხუთი კაცი; ტეცუო არას ჯგუფი — ოთხი კაცი; სუკეცუეუ სოგას ჯგუფი — თერთმეტი; ხარუო ოკადა და მინორუ ონო, აგრეთვე პეკინში მცხოვრები კინკაძუ სპოონი — სულ 32 კაცი. ჩინეთის მხრივ, თავმჯდომარე მაოს გარდა, იყვნენ ლიაო ჩენ-ჯი, ჯაო ან-ბო და იაპონიასთან ურთიერთობის დარგში სხვა გავლენიანი მოღვაწენი.

ქვემოთ მოგვყავს თავმჯდომარე მაოს მიერ გამოთქმული აზრების შინაარსი.

შუალედი ზონის თეორიის შესახებ

თავმჯდომარე მაომ თავდაპირველად ასეთი თემა წამოაყენა: „იაპონია და ჩინეთი შეკავშირებულად უნდა მოქმედებდნენ, ერთმანეთთან თანაშრომლობდნენ. იაპონია მრეწველობის მხრივ შედარებით განვითარებული ქვეყანაა. ამიტომ მას შეუძლია ბევრ რაშეში გაგვიწიოს დახმარება. პოლიტიკურადაც ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუჭერდეთ მხარს. განა შეიძლება ერთმანეთს ვუპირისპირდებოდეთ, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ იყო?" თავმჯდომარე მაომ კოძო სასაკისა და სხვა მოდგაწეებს გაუზიარა შენიშვნები ჩინეთში იაპონიის წარსულ აგრესიაზე, შეეხო ამერიკის იმპერიალიზმის, შუალედი ზონების საკითხს და განავითარა შემდეგი აზრი.

ომის შედეგად იაპონია ამერიკის იმპერიალიზმის ბატონობაში აღმოჩნდა. სწორედ ასევე ამერიკის იმპერიალიზმი ბატონობს სამხრეთ კორეაში, ფილიპინებზე, ტაილანდში და ა. შ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელები წაუპრტენეს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ეს წამოტინებული ხელები მეტისმეტად გრძელია.

ამერიკის შეერთებული შტატები ბატონობენ ევროპაზე, ისინი ბატონობენ კანადაში, ბატონობენ მთელ ლათინურ ამერიკაში, კუბის გამოკლებით. ისინი ხელს უპოტინებენ თვით აფრიკას.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა ხალხი ილაშქრებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ აგრეთვე ევროპა, კანადა და სხვა ქვეყნები. იმპერიალისტებიც ილაშქრებენ იმპერიალისტების წინააღმდეგ. განა ასე არ მოქმედებს დეგოლი?

ამჟამად მსოფლიოში არსებობს ორი შუალედი ზონა. აზია, აფრიკა და ლათინური ამერიკა შეადგენენ პირველ შუალედ ზონას. ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა, ოკეანია — მეორეს. იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალი მეორე შუალედ ზონას ეკუთვნის. ისიც კი უკმაყოფილა ამერიკის შეერთებული შტატებით, ზოგიერთი მისი წარმომადგენელი კი აშკარად გამოდის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. თუმცა ამჟამად იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაშია, მაგრამ გაგა დრო, და იგი მოიშორებს ამერიკის უღელს.

იაპონელი ერი დიდი ერია. იგი ომს წარმოუძღვა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. იგი ეომებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. მან მოახერხა თავდასხმა პერლ-ჰარბორზე, მოახერხა ვიეტნამის, ფილიპინების, ტაილანდის, მალაიის, ინდონეზიის ოკუპაცია. მუსმა შეტევამ ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილამდე მიაღწია.

ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მე თანახმა ვარ გამეორდეს იაპონიის იმპერიალიზმის აგრესია.

მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალი დაანებებს ამერიკის შეერთებულ შტატებს მუდამ კისერზე ასხდნენ მას. იმაზე უკეთესი არა იქნებოდა რა, რომ იაპონია საესებით დამოუკიდებელი გახდებოდეს და კავშირს დაამყარებდეს და თანამშრომლობს დაიწყებდეს აზიის ძალებთან, რომლებიც ეროვნულ დამოუკიდებლობას ესწრაფვიან.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დავის შესახებ

შეჩერდა რა ეგრეთწოდებულ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დავაზე, მაო შეეხო ინდოეთისადმი საბჭოთა სამხედრო დახმარების, ჩინეთიდან საბჭოთა სპეციალისტებისა და ტექნიკოსების გაწვევის საკითხს და ა. შ. მან აღნიშნა, რომ „ურთიერთობა ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის მიესკ 1956 წლის XX ყრილობის დროიდან სულ უფრო უარესდება", და შემდეგ განაცხადა:

„ჩვენ საამისოდ გამოგვიწვიეს, და ჩვენ წინააღმდეგობას ეუწევთ. ჩვენ წინადადებას გვაძლევდნენ შეგვეწყვიტა დია დისკუსია სამი თვით მაინც. ჩვენ განვაცხადეთ, რომ სამი დღითაც კი არ შეგწყვეტთ მას. ჩვენ ომს ვაწარმოებდით 25 წლის განმავლობაში. აქედან 22 წელი მოდის საომარ ომზე და ომზე იაპონიის წინააღმდეგ, სამი წელი — ომზე კორეაში. წინათ მე მასწავლებელი ვიყავი. არ ვიცოდი, რას წარმოადგენს ომი. სამმა მასწავლებელმა მასწავლა ომი. პირველი მათგანია ჩან კაი-ში, მეორე — იაპონიის იმპერიალიზმი, მესამე — ამერიკის იმპერიალიზმი. ომი ცნობილი საქმეა: როცა მას აწარმოებენ, ადამიანები იხოცებიან. ომის იმ 25 წლის მანძილზე ჩინელი ხალხის დანაკლისმა რამდენიმე ათეული მილიონი მოკლული და დაჭრილი შეადგინა.

რაც შეეხება ქაღალდზე ომს, ასეთ ომში მოკლულნი არ არიან. ჩვენ მას უკვე რამდენიმე წელია ვაწარმოებთ, და ერთი კაციც არ მომკვდარა. და ჩვენ მზად ვართ კიდევ 25 წელს განვაგრძოთ ეს ომი".

ტერიტორიული საკითხის შესახებ

კუნძულ ჰოკაიდოზე სოციალისტური პარტიის შტაბის დელეგაციის მეთაურმა ტეცუო არამ სთხოვა: „იმ დროს, როცა ჩვენ ამაზე არაფერი არ ვიცოდით, იალტის შეთანხმებისა და პოტსდამის დეკლარაციის მიხედვით კურილის კუნძულები ჩამოგვართვეს. ჩვენ მოვითხოვთ მათს დაბრუნებას და ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვისმინოთ თავმჯდომარე მაოს აზრი".

პასუხი ასეთი იყო.

საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებული ადგილები მეტისმეტად ბევრია. იალტის შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა კავშირმა მოხლოლეთის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საბაბით სინამდვილეში ეს ქვეყანა თვის ბატონობას დაუმორჩილა. მოხლოლეთს გაკლებით მეტი ფართობი უჭირავს, ვიდრე კურილს კუნძულებს. 1954 წელს, როცა ხრუშჩოვი და ბულგანინი ჩინეთში ჩამოვიდნენ, ჩვენ დავაყენეთ ეს საკითხი, მაგრამ საუბაზზე უარი გვითხრეს. მათ მოითვისეს რუმინეთის ნაწილი, მათ ჩამოჭრეს აღმოსავლეთ გერმანიის ნაწილი და დასავლეთ ნაწილში გარეკეს ადგილობრივი მცხოვრებნი, მათ ჩამოჭრეს პოლოლეთის ნაწილი და რუსეთის შემადგენლობაში მოაქციეს იგი, კომპენსაციის სახით კი პოლოლეთს აღმოსავლეთ გერმანიის ნაწილი გადასცეს. იგივე მოხდა ფინეთშიც. მათ ჩამოჭრეს ყველაფერი, რის ჩამოჭრაც შეიძლებოდა. ზოგიერთმა ადამიანმა განაცხადა, რომ სინქიანის ოლქი და მდინარე ამურის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები შეტანილ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. სსრ კავშირი თავს უყრის ჯარებს თავის საზღვარზე.

საბჭოთა კავშირს 22 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს, მისი მოსახლეობა კი სულ 200 მილიონ კაცს შეადგენს. დროა შეუწყვეტოს გაყოფა. იაპონიას 370,000 კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს, მისი მოსახლეობა კი 100 მილიონ კაცს შეადგენს. დაახლოებით ასი წლის წინათ ბაიკალის აღმოსავლეთით მდებარე რაიონი რუსეთის ტერიტორია გახდა, და მას შემდეგ ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, კამჩატკა და სხვა პუნქტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიას წარმოადგენენ. ჩვენ ჯერ კიდევ არ წარგვიდგენია ანგარიში ამ რეესტრით. რაც შეეხება კურილის კუნძულებს, ეს საკითხი ჩვენთვის ნათელია. ისინი იაპონიას უნდა დაუბრუნდეს.

ჩვენი კლანეტა ამ დღეებში

პროფკავშირების ზმას მიზცემენ ჯონსონს



თავიდან ავიცილოთ ახალი ომი

ბერლინი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა დღეს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე მეორე მსოფლიო ომის 25 წლისთავთან და პირველი მსოფლიო ომის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

თავის სიტყვაში ვ. ულბრიხტმა გააანალიზა მსოფლიო ომების წარმოშობის მიზეზები და ამასთან დაკავშირებით ილაპარაკა გერმანელი ხალხის ამოცანებზე და მის პასუხისმგებლობაზე იმისათვის, რომ გერმანიის მიწა-წყლიდან აღარასოდეს არ დაიწყოს ახალი ომი.

პროფკავშირთა ხელმძღვანელობა იწონებს

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ვაშინგტონიდან, ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ უდიდესმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ მოიწონოს არა რესპუბლიკელების გოლდუოტერ-მილერის, არამედ ჯონსონ-ჰემფრის კანდიდატურები.

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საბჭოს წევრები ამ პროფკავშირული გაერთიანების თავმჯდომარის ჯორჯ მინის მეთაურობით გუშინ ეწვივნენ პრეზიდენტ ჯონსონს. პრეზიდენტს აცნობეს საბჭოს გადაწყვეტილება.

კუბელები ემზადებიან სახელოვანი ასი წლისთავის აღსანიშნავად

ჰავანა. კუბელები ემზადებიან I ინტერნაციონალის 100 წლისთავის ფართო აღნიშვნისათვის. ჰავანაში განზორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი. მათი ორგანიზაცია დაეკვალა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ჰავანის პროვინციულ კომიტეტს მშრომელთა რევოლუციურ გაერთიანებას და ჰავანის პროვინციის სხვა მასობრივ ორგანიზაციებს.

ნაყოფიერი თანამშრომლობა

სოფია. სსრ კავშირთან ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობას სრული ურთიერთგაგება ახასიათებს. მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირი ყოველთვის დიდი გაგებითა და გულისხმიერებით ეკიდება ჩვენს საჭიროებას; განაცხადა გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტის" მთავარ რედაქტორთან ი. კიულიოვსკისთან საუბარში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ივან ბუდინოვმა.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ჩვენი ვაჭრობა სსრ კავშირთან, თქვა შემდეგ მინისტრმა. 1945 წელს საქონელბრუნვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის 120 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1964 წელს კი საქონელბრუნვა თითქმის 8-ჯერ გაიზარდა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასა და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრძელვადიანი კრედიტები, რასაც ჩვენ საბჭოთა კავშირი გვაძლევს.

ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესი

ბუქარესტი. აქ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ნიადაგმცოდნეთა VIII საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „მშვიდობა და პური", ჩამოვიდა ხუთი კონტინენტის 66 ქვეყნის 1200-ზე მეტი დელეგატი, იუნესკოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს ასზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი.

კონგრესი გახსნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გეორგე გეორგიუ-დეეუმ.

კონგრესის საღამოს პლენარული სხდომა მიეძღვნა მსოფლიოს ნიადაგების რუკის შექმნის პროექტს.

მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე იუნესკოს წარმომადგენლებმა.

შენდება ქიმიური გიგანტი

ბუდაპეშტი. ამ დღეებში დიდი ზეიმი ეწყობათ ქიმიურ კომბინატ „ტისას" მშენებლებს. ეს კომბინატი შენდება სოფელ ტისასიდერკენის რაიონში მდინარე ტისაზე. ამიკისგან, რომელიც აქ ორშოდის ქიმიური კომბინატიდან გამოგზავნეს, დაიწყო აზოტოვანი სასუქის საცდელი წარმოება.

მოაკრდება უნგრეთის მეორე ხუთწლედის უდიდესი მშენებლობა. უკვე მიმდინარე წელს ახალი ქიმიური გიგანტი გამოუშვებს 40 ათას ტონა სასუქს. 1 ოქტომბრიდან სასინჯი გამოცდის შემდეგ იგი ყოველდღიურად გამოუშვებს 600 ტონა ძვირფას მასალას. მომავალ წელს გიგანტი სოფლის მეურნეობას მისცემს 300 ათას ტონა აზოტიან სასუქს. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. სურათზე: თავისუფლების მოედანი ბრნოში.

ფოტო ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოსი.

სოციალისტური ქვეყნებში

18 სახელმწიფოს კომიტეტის სხდომა

ჟენევა, 1 სექტემბერი. (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ღია ოცდაერთეული სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ ყოველნაირად სახელი გაუტეხონ საბჭოთა წინადადებას, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების პირველ ეტაპზე მოისპოს ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალება, გარდა ზუსტად განსაზღვრული, შეთანხმებული რაოდენობის რაკეტებისა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე — ეგრეთწოდებული რაკეტულ-ატომური ქოლგისა.

ინდოეთის წარმომადგენელი რ. კ. ნერუ მიესალმა საბჭოთა წინადადებას რაკეტულ-ატომური ქოლგის შესახებ. მან აღნიშნა, რომ „პროცენტული" შემცირება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ, ვერ გადაჭრის მთავარ პრობლემას: არსებითად შემცირდეს ატომური საშუალებანი განიარაღების უკვე ადრეულ ეტაპზე.

ინგლისისა და კანადის დელეგატებმა გამეორეს დასავლეთის უკვე ცნობილი წინადადებანი, რომელთა არაკონსტრუქციულობას კარგად ხედავს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ბულგარეთის წარმომადგენელმა კ. ლუკანოვმა დაწვრილებით გააშუქა კომიტეტის მუშაობაში შექმნილი ჩიხის მიზეზები და ხაზი გაუსვა, რომ. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი დასავლელი მოკავშირენი უშლიან ხელს წარმატების მიღწევას.

ნაციონალიზაცია ალჟირში

ალჟირი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ალჟირში გრძელდება ნაციონალიზაცია. გუშინ გამოაცხადეს, რომ ქალაქ მოსტაგანენის (დასავლეთი ალჟირი) 5 კერძო სატრანსპორტო კომპანია გარდაიქმნება სახელმწიფო სატრანსპორტო გაერთიანებად.

გადაწყვეტილია აგრეთვე განხორციელდეს „ალჟირის ავტომანქანების გამავრცელებელი კომპანიის" ნაციონალიზაცია.

ამ კომპანიის მფლობელები, რომელსაც კონტროლს უწევს იტალიის „ფიატის" ფირმა, ძირგამომხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. ალჟირის მთავრობას აქვს დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ კომპანიის მფლობელთა კავშირს კონტრრევოლუციონერებსა და მოღალატეებთან.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა

ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესი

„24 ქვეყნის კომიტეტის" მოხსენება

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნდა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელი („24 ქვეყნის") სპეციალური კომიტეტის მოხსენება სამხრეთ როდეზიის შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარემ სორი ყულიბალიმ (მალი) უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა მოხსენება სპეციალური კომიტეტის 3 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ გადაწყვეტილებით „24 ქვეყნის კომიტეტმა" ურჩია უშიშროების საბჭოს განიხილოს სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მწვავე მდგომარეობა, როგორც პრობლემა, რომლის გადადება შეუძლებელია.

სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც არ იქრება უშიშროების საბჭოს რწმუნებებში, გამოთქვა აზრი, რომ საბჭომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მიაღწიონ ჯოშუა ნკომოსა და ყველა სხვა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას და უზრუნველყოს რეპრესიული და დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება. გარდა ამისა, „24 ქვეყნის კომიტეტმ" მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭომ უნდა აღმოფხვრას აფრიკელთა პოლიტიკური საქმიანობის ყველა შეზღუდვა და უზრუნველყოს სრული დემოკრატიული თავისუფლებანი და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა. საჭიროა აგრეთვე გაიმართოს კონსტიტუციური კონფერენცია ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ კონფერენციამ უნდა დასახოს კონსტიტუციური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამხრეთ როდეზიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, და დაწესოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი.

ამას წინათ დასავლეთ ბერლინში ამერიკული ნიმუშის მიხედვით მოეწყო შეჯიბრება „პიანინოს ნაფოტებად გადაქცევაში". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის, უმაღლესი პედაგოგიური სკოლისა და ეგრეთწოდებული თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდები. განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ პიანინო ნაფოტებად აქციეს 12 წუთში. მართალია, ეს ამერიკულ რეკორდებზე უფრო დაბალია, მაგრამ არის იმედი, რომ დასავლეთ ბერლინის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი თავიანთ ამერიკელ კოლეგებს დაეწევიან.

სურათზე: დასავლეთ ბერლინის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები „შეჯიბრების" დროს.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

დასავლეთ ბერლინი. 1 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 25 წელი შესრულდა, რაც ჰიტლერელმა ფაშისტებმა დაიწყეს მეორე მსოფლიო ომი, გუშინ საღამოს, დასავლეთ ბერლინში, გაიმართა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელიც ახალგაზრდობის ჯგუფმა მოაწყო.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ავტომანქანებით გაატარეს ტრანსპარანტები ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ ბრძოლისაკენ საომარი მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობის კონკრეტული პოლიტიკისათვის.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

ტუმრები მალიდან

1964 წლის 31 ივლისიდან 31 აგვისტომდე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში იმყოფებოდა პარტია ხუდანის კავშირის (მალის რესპუბლიკა) დელეგაცია ათი კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობდა ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მდივანი ამხ. მადეირა კეიტა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 25 აგვისტოს დელეგაცია მიიღო და ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. საუბრის დროს განხილული იყო ფართო წრის საკითხები, რომლებიც შეეხება მალის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, სუდანის კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. საუბარმა განსაკუთრებით გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დელეგაციას საუბრები ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ ორგანოთა განყოფილებაში, საერთაშორისო და იდეოლოგიურ განყოფილებებში. დელეგაცია მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ბ. ნ. პონომარიოვმა და ვ. ნ. ტიტოვმა.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, გარდა მოსკოვისა, დელეგაცია იყო ირკუტსკში, ბრატსკში, ალმა-ათაში, სოჭსა და ლენინგრადში, სადაც დაწვრილებით გაეცნო პარტიული, საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობას, იყო სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაათვალიერა კულტურული დაწესებულებანი და ჯანმრთელობის კერები. გაეცნო საბჭოთა მშრომელების ცხოვრებას.

დელეგაციამ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიეცა უაღრესად ფართო შესაძლებლობა დაემყარებინა უშუალო კონტაქტები საბჭოთა მშრომელებთან.

დელეგაცია იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო, დათვალიერა ის ადგილები, სადაც ლენინი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვსა და ლენინგრადში.

31 აგვისტოს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

მექსიკის პრეზიდენტის განცხადება

მექსიკო, 2 სექტემბერი. (საკდესი). მექსიკას კვლავ ექნება დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან, განაცხადა გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ადოლფო ლოპეს მატეოსმა.

ლოპეს მატეოსმა, რომელმაც მორიგი წერილი გაუგზავნა კონგრესს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ამასწინანდელ საკონსულტაციო თათბირზე მექსიკის დელეგაციამ ხმა მისცა იმ რეზოლუციების წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ კუბის საწინააღმდეგო სანქციების მიღებას.

მექსიკის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა თვითგამორკვევის, ჩაურევლობის, სუვერენიტეტის პრინციპებს, იმას, რომ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ყველა სადავო პრობლემა. მან მოითხოვა განვითარდეს სავაჭრო ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ისე, რომ არ იყოს რაიმე შეზღუდვა და დისკრიმინაცია.

საერთაშორისო დეკენური ცხოვრება

საფრთხე მოელის ამერიკულ სიმინდს

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად ვრცელდება სიმინდის ახალი ვირუსული დაავადება. ავადმყოფი მცენარეები სუსტად იზრდება, იფარება წითელი, წაბლისფერი და ყვითელი ლაქებით, დაჭკნარი ტარეები თითქმის არ იძლევა მარცვალს.

ავადმყოფობა პირველად 1962 წელს გაჩნდა მისისიპის შტატში, წელს კი უკვე გავრცელდა ათი შტატის ყანებში, მათ შორის სმინდის სარტყლის ხუთი დიდმნიშვნელოვანი შტატიდან სამ შტატში — ინდიანის, ილინოისის, ოჰაიოს შტატებში. ფახეთი „უოლსტრტ ჯორნელი" წერს, რომ ავადმყოფობა არსებითად გავლენას არ მოახდენს წლევანდელ მოსავალზე, რომელიც, როგორც მოელიან, მხოლოდ 400 მილიონი ბუშელით ნაკლები იქნება შარშანდელ რეკორდულ მოსავალზე. მაგრამ, გაზეთის აზრით, ავადმყოფობის შემდგომ გავრცელება შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამერიკის ამ უმნიშვნელოვანესი მარცვლეული კულტურის წარმოებას.

ამერიკული ტანკერი ტოკიოს ყურეში

ტოკიო. (საკდესი). „თავმჯდომარე მაო ეუბნება იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაციას: კურილის კუნძულები იაპონიას უნდა დაებრუნდეს" — ასეთი სათაურით 11 აგვისტოს ყოველკვირეულ „სეკაი სიუბუნში", რომელსაც ძალი ცუსინის სააგენტო სცემს, გამოქვეყნებულია სტატია იმის შესახებ, რომ ამას წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტით იყო პარლამენტის დეპუტატ სოციალისტთა ჯგუფი კოძო სასაკის მეთაურობით. ქვემოთ უნიშვნელო შემოკლებით ვთავსებთ სტატიის თარგმანს.

• • •

პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფს იაპონიის სოციალისტური პარტიის ანტიძირითადი დაჯგუფებიდან ხუთი: კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ედგა კოძო სასაკი, 10 ივლისს პეკინში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარესთან მაო ძე-დუნთან. ამ საუბრის დროს მაო ძე-დუნმა განაცხადა, რომ იგი „მხარს უჭერს იაპონიის პოზიციას კურილის კუნძულების დაბრუნების საკითხში". ჯგუფი 12 ივლისს ჩავიდა ჰონკონგში და უამბო ეს იქ აკრედიტებულ იაპონელ კორესპონდენტებს. საუბრის შინაარსი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

იაპონიის სოციალისტური პარტიის შტაბის მდივანმა აკიო კასახარამ, რომელიც სასაკის ჯგუფს ახლდა, განმარტა შინაარსი მაო ძე-დუნის საუბრისა სოციალისტებთან, იმ ჩანაწერებზე დაყრდნობით, რომლებიც გააკეთეს თვით კოძო სასაკმ, სიტირო მაცუმოტომ და სიგეო ოსიბამ. ეს განმარტებანი შეიძლება დაეახასიათოთ როგორც მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც გადმოგვცემს თავმჯდომარე მაოს მიერ გამოთქმული აზრების შინაარსს.

საუბარი, რომელიც სახალხო კრებათა დარბაზში მიმდინარეობდა, არაჩვეულებრივად დიდხანს — 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. იაპონიის მხრივ საუბარს, სასაკის ჯგუფის ხუთი წევრისა და ბატონ კასახარას გარდა ესწრებოდნენ აგრეთვე ხისაოკუროდას ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით, რომელიც პეკინში ჩავიდა სასაკის ჯგუფისაგან ცალკე; კანემიცუ ხოსოსაკოს ჯგუფი — ხუთი კაცი; ტეცუო არას ჯგუფი — ოთხი კაცი; სუკეცუეუ სოგას ჯგუფი — თერთმეტი; ხარუო ოკადა და მინორუ ონო, აგრეთვე პეკინში მცხოვრები კინკაძუ სპოონი — სულ 32 კაცი. ჩინეთის მხრივ, თავმჯდომარე მაოს გარდა, იყვნენ ლიაო ჩენ-ჯი, ჯაო ან-ბო და იაპონიასთან ურთიერთობის დარგში სხვა გავლენიანი მოღვაწენი.

ქვემოთ მოგვყავს თავმჯდომარე მაოს მიერ გამოთქმული აზრების შინაარსი.

შუალედი ზონის თეორიის შესახებ

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დავის შესახებ

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

ამერიკული ტანკერი ტოკიოს ყურეში

ინდოეთი ეწინააღმდეგება ატომურ ბომბებს

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ცხოვრების მხარდამხარ

„გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ 20 წლისთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქალაქო გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ 20 წლისთავი.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სახლდომო დარბაზში გაიმართა პრესის მუშაკთა, საზოგადოებრივ კორესპონდენტთა და ქალაქის პარტიული აქტივის კრება.

გაზეთის 20 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთის რედაქტორმა გ. გელაშვილმა. სტუმარი წარმოთქვეს და რედაქციის კოლექტივს 20 წლისთავი მიულოცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პრესისა და გამომცემლობათა საქმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ხუციშვილმა, საზოგადოებრივმა კორესპონდენტმა ი. შავლოხაშვილმა, პარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელმა ზ. სალაზოვამ, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. ჭვარავამ და სხვებმა.

31 აგვისტოს საღამოს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა შვეიცარიელ ქალთა გაერთიანების „მშვიდობისა და პროგრესისათვის“ დელეგაცია. დელეგაციას მეთაუოროს გაერთიანების თავმჯდომარე მარგარეტ გრეგი.

აეროდრომზე სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ღლონტი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ქვანია და სხვები.

თბილისის გასცნობა შვეიცარიელ ქალთა წარმომადგენლებმა 88-ე საშუალო სკოლით დაიწყეს.

დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაკაძემ. მან სტუმრებს გააცნო უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, უამბო, თუ რა მონაწილეობას იღებენ ქართველი ქალები სახალხო მეურნეობის განვითარებაში და ხახელმწიფო მართვაში.

მარგარეტ გრეგმა დამსწრეებს წარუდგინა თავისი კოლეგები, გაერთიანების „მშვიდობისა და პროგრესისათვის“ აქტიური მონაწილენი. გააცნო მათ თავისი ქვეყნის ქალთა ცხოვრება.

საუბარს დაესწრნენ ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჯავახიშვილი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი თ. აბაშმაძე და სხვები.

შვეიცარიელი ქალები განაგრძობენ საქართველოს დედაქალაქის გაცნობას. (საქლესი).

სტუმრები შვეიცარიიდან

გუნეგის მკვლევარის იუბილე

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა აღნიშნეს ბუნების ცნობილი მკვლევარის პეტრე მაბუკიანის დაბადების 75-ე და სამეცნიერო მოღვაწეობის 45-ე წლისთავი.

საიუბილეო აღამოზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოხსენებით პ. ჭაბუკიანის მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი გ. სოფრომაძე.

იუბილარს მიესალმნენ წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. კაკაურიძე, კულტურის განყოფილების გამგე ნ. მაგულიძე და სხვები.

პ. ჭაბუკიანმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებს მისი დაფასებისათვის. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

„მერცხალი“ — „არტეკში“

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის პიონერთა საოლქო სახლის ცეკვის ანსამბლის „მერცხალის“ კონცერტებს არაერთი მაყურებელი მოუხიბლავს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ანსამბლის ყველა წევრი პიონერულ ბანაკ „არტეკის“ საგზურებით დააჯილდოვა.

დაე იცნობდნენ გმირებს

არა, ტარიელ ქურხულს არა სწერია, რომ მისი ცხედარი ვერის ან კუკიის მიწას მიებარებინა, რომ მშობელს ყოველდღე ვარდებითა და ყვავილებით მოერთო დედისერთას საფლავი, რომ დილა-საღამოს ვეღო მასთან მძიმე კაეშნის გასაქარვებლად. არ სწერია, რადგან საშობლოდან ძალიან შორს, უცხო ქვეყანაში ჰპოვა სამარადისო სასუფეველი.

და აი ასეთი დიდი მანძილის მიუხედავად (ჩეხოსლოვაკია ხომ მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული საქართველოს) მისი დედა მაინც არ აკლებს ზრუნვას თავის ერთადერთ შვილს. წელიწადი არ გავა, რომ ნინო მათიაშვილი ქალაქ გლუჩინის ძმათა სასაფლაოს არ ეწვიოს, ცრემლი არ აპკუროს შვილის საფლავს. თუმცა ჩეხები მას გულმოდგინედ უკლიან, მაგრამ დედის გული, დედის ხელი მაინც სულ სხვაა. და ნინო მათიაშვილი ყოველ ზაფხულს თავის შვებულებას შვილთან სამამულო ომში გმირულად დაღუპულ ტარიელ ქურხულთან ატარებს. შარშანაც იყო გლუჩინში.

პრაღაში გავლის დროს იგი ჟურნალისტ კარელ აგვუსტინს უნახავს: — „უცხოელი სტუმრები მრავლად ესტვიან პრაღის ძეგლებს. — წერს კ. აგვუსტინი გაზეთ „პრაცეში“ („შრომა“) დაბეჭდილ წერილში. — და ამ უცხოელთა ნაკადში შევხვდი ხნიერ ქალს. საქართველოდან იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ნინო მათიაშვილი. იგი ჭელსაც ეწვია ჩეხოსლოვაკიას, როგორც შარშან, მაგრამ მისი რეგულარული ვიზიტების მიზანი პრაღა და პრაღის ძეგლები როდია“, — აღნიშნავს ჟურნალისტი და დაწვრილებით აცნობს მკითხველს მისი ჩასვლის ნამდვილ მიზეზს.

...შარშან აგვისტოში ტარიელის მამის — ილიკო ქურხულის საფლავის მიწა წაიღო თბილისიდან, ქართული კერამიკის ქოთანიც ჩაიტანა. ყვავილი კი იქაური იყოდა, ჩარგო და ისე დაუდგა ტარიელს.

ჩეხურმა ყვავილმა იხარა ქართულ მიწაში, მერე ის მიწა სხვასაც უწილადა — ორ თანამემამულეს, რომლებიც ტარიელთან ერთად გაწამებენ ომ ძმათა სასაფლაოზე.“ როგორც საკუთარ შვილს, მათაც ყოველდღე უცცილდა ლამაზ ლარნაკებში სურნელოვან ჩეხურ ყვავილებს. ერთი კაპიტანი მიხეილ ივანეს-ძე მახარაძეა, მეორე — უმცროსი ლეიტენანტი ვახტანგ მიხეილის-ძე ობლიშვილი. მეტი არაფერია ცნობილი მათ შესახებ.

ჯარისკაცების მრავალ საფლავთა შორის შარშან ერთადერთ ქვაზე ჩეხურთან ერთად გაჩნდა ქართული წარწერაც: „ტარიელ ქურხული“. სამავშო წიგნის „ქართული ანბანის“ ფურცლებიდან ამოჭრილი ასოები ზაიღო დედამისმა და ისე ამოაკვეთინა იქაურ ოსტატებს. სხვათა შორის, ამ ანბანთან ერთად ნინო მათიაშვილმა თან წაიტანა რუსთაველ მეტაღურგთა გულთბილი სალამი და დიდი ალბომი დოლნი ბენეშოვის ამმატურის მძლავრი ქარხნის კოლექტივისათვის. მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მისი ცდითა და მეცადინეობით დამყარდა.

არც მაშინ აკლიათ ზრუნვა ტარიელსა და მის თანამებრძოლებს, როცა უკან, თბილისში ბრუნდება დედამისი. ბუნებით თბილი და კეთილი ჩეხები არასოდეს არ ივიწყებენ საბჭოთა ადამიანების სისხლს, დაღვრილს მათს გასათავისუფლებლად, წმიდად ინახავენ იმათ ხსოვნასა და სახელებს. ვისაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯიხა ფაშისტური უწმინდურებისაგან ჩეხისა და სლოვაკიის მიწაწყლის გაწმენდა. მადლიერებით სავსე წერილებს გზავნიან მათს სამშობლოში. განსაკუთრებით დღესასწაულების დღეებში არ ივიწყებენ და დიდი ზარზეიმით აღნიშნავენ დაღუპულ მეომართა ხსოვნას.

სალამურ ბმა. ძმათა სასაფლაოს წინ ხალხი იწყებს თავმოყრას. თავში ორკესტრია, შემდეგ ჯარისკაცები, მეხანძრეები, მოსწავლე ახალგაზრდობა...

დაიწყო საზეიმო სვლა.

უკრავს ორკესტრი. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან სამგლოვიარო ზეიმის მონაწილენი და საითაც გაიხედავთ, ყველგან ჩარაღდნები, ჩირაღდნები, ჩირაღდნები და გეჩვენებათ, თითქოს მთელი ქალაქი დაძრულა. და არა მარტო ერთი ქალაქი!

სასაფლაოსწინა მოედანზე უამრავი ხალხია. საერთო ძეგლის მაღალ სვეტებზე მარადიული კანდელი გიზგიზებს, ძეგლთან საპატიო ყარაულია, ყოველ საფლავთან კი პიონერები დგანან საპატიო ყარაულში.

ძმათა სასაფლაოზე შემოდიან სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დელეგაციები. თავში ადგილობრივი პარტიული კომიტეტის დელეგაციაა. მათ მოაქვთ გვირგვინები. მუსიკა ასრულებს ჰიმნს. მდუმარებას მოიცავს მიდამო. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ქვანია ამბობს:

„დელეგაციების წასვლის შემდეგ, — მოგვითხრობს წერილი, — გრძელ მწკრივებად დავყვივით სასაფლაოს, თქვენი შვილის სამარესთან გავჩერდით არა მარტო ჩვენ, არამედ სხვებიც, ყვავილებს გარდა აქ გვირგვინიც დევს.

არასოდეს და არავითარ პირობებში არ დავივიწყებთ არც თქვენს შვილს, არ დავივიწყებთ არც თქვენ, არც საბჭოთა კავშირს, არც თქვენს სამშობლოს — ლაკვარდოვან საქართველოს.

...თქვენ დიდ პატივს გცემთ, როგორც ქალს, როგორც საზოგადო მოღვაწეს და კიდევ უფრო მეტად, როგორც დედას, რომელმაც ერთადერთი ვაჟი დაკარგა. ჩვენმა ამ პატივისცემამ და სიყვარულმა, და იმის შეგნებამ რომ ვზრუნავთ, ვუვლით თქვენი შვილის საფლავს, იქნებ შეგიმსუბუქოთ განუზომელი მწუხარება“.

ასე ამთავრებენ თავიანთ წერილს პრაშილები.

დაე, გვაპატიოს მკითხველმა ასეთი გრძელი ამონაწერის მოყვანა, ხოლო ავტორებს ამ სტრიქონებიდან მათ უნებართვოდ წერილის გამოქვეყნება, მაგრამ იმდენად თბილი და ამაღელვებელია ეს სტრიქონები, იმდენად კარგად და სრულად ასახავს რიგითი ჩეხოსლოვაკიელისა და მთელი ხალხის გაწყენობილებას (მსგავსი წერილები ხომ სხვაც მეგრია მათიაშვილის არქივში), რომ გვერდს ვერ ავუვლიდით.

აი კიდევ ჩეხების ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატულების ერთი მაგალითი. 21 მარტი ტარიელ ქურხულის დაბადების დღეა. ეს ადრევე ჭქონდათ გაგებული ჩეხ მეგობრებს. და უკვე 22 მარტს გამოჭედილი ბრონზაოთ პრაშილების ოჯახი იტყობინება: „ვისწრაფით გაცნობოთ, რომ აღვნიშნეთ თქვენი შვილის დაბადების დღე, და აღვნიშნეთ არა მარტო ჩვენ, არამედ ერთგული კომიტეტის წარმომადგენლებმაც, ამბ. ბროვიაკოვმა და მისმა ოჯახმა“.

ამ დღესაც არ აკლდა გმირის საფლავს არც გვირგვინები, არც ყვავილები. ყველაზე ამაღელვებელი კი ის იყო, რომ მასა მოუტანეს ფიჭვის ტოტები იმ ტყიდან, სადაც ტარიელი უკანასკნელად ისვენებდა დუშმანთან ბოლო ბრძოლების წინ, და სადაც გამოესალმა სიცოცხლეს.

სულ ერთი ყოფილა, სად იქნება გმირის საფლავი. მთავარი მისი უკვდავებაა.

სერგო ხარაზიშვილი.

რედაქციისაგან: ამ წერილში, გარდა ტარიელ ქურხულისა, მოხსენიებული არიან კაპიტანი **მიხეილ ივანეს-ძე მახარაძე** და უმცროსი ლეიტენანტი **ვახტანგ მიხეილის-ძე ობლიშვილი.** ვინ არიან ისინი? არაფერი ვიცით მათ შესახებ. ვინ იყვნენ, როგორ ცხოვრობდნენ, რა ბრძოლები გადაიხადეს? რედაქცია სთხოვს ყველას, ვინც კი იცნობდა მიხეილ ივანეს-ძე მახარაძესა და ვახტანგ მიხეილის-ძე ობლიშვილს, პირადად ან წერილობით აცნობონ, რაც კი იციან მათ შესახებ. ამით დაგვეხმარებიან იმაში, რომ სამამულო ომის კიდევ ორი უცნობი სახელოვანი მებრძოლი დავუბრუნოთ სამშობლოს სიკვდილს შემდეგ.

დაე იცნობდეს ხალხი თავის გმირებს!

გზა უკვდავებისა...

ჩვენი ინტერვიუ

ცხენოსანთა დიდი ზეიმი

6 სექტემბრიდან ჩვენს დედაქალაქში, თბილისის ჰიპოდრომზე, გაიმართება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ცხენსაშენების VII საკავშირო ცხენოსნური დღესასწაული.

ცხენოსანთა იმ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს თითქმის ყველა რესპუბლიკის საუკეთესო მხედრები და ცხენოსნები. სულ ჩამოსულია 300 მხედარი. მათ ჩამოყვანილი ჰყავთ 350 ცხენი.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, მეცხენეობის საკავშირო საწვრთნელ-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს **ლ. კაშტანოვს.**

— ლეონიდ ვლადიმერის-ძევ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს გთხოვთ გააცნოთ, რა მიზანს ისახავს ცხენოსანთა ეს შეჯიბრება და როგორი იქნება პროგრამა?

—ცხენოსანთა VII საკავშირო შეჯიბრება, რომელსაც ყოველწლიურად მართავს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, — აღნიშნა მან, — მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყანის ცხენთმომზენებელი ორგანიზაციების ცხოვრებაში, მისი მიზანია ხელი შეუწყოს საცხენოსნო სპორტის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკებში, აგრეთვე გვიჩვენოს მეცხენეობაში მიღწეული მოწინავე გამოცდილება. ეს შეჯიბრება იქნება საუკეთესო ჯიშის ცხენების გაძლეობისა და ფეხმარდიანობის დემონსტრაცია.

თბილისში ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობა პირველად ეწყობა. ეს ადგილი შემთხვევით არ აგვირჩევია. ქართველებს უყვართ ცხენოსნობა და აქვთ საუკეთესო ტრადიციები. ქართველ ცხენოსან სპორტსმენთა სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში.

ახლანდელი ასპარეზობის პროგრამა გაცილებით უფრო რთული და შინაარსიანი იქნება, ვიდრე გასული წლებისა. აქ წარმოდგენილი იქნება საცხენოსნო სპორტის ყველა სახეობა — ჯირითი სხვადასხვა დისტანციებზე, დოღი, მარული, ალამან-ბაიგა, დაბრკოლებათა გადალახვა, რეაღული სამეულის (ტროიკას!) შეჯიბრება, ქართველებისათვის კარგად ცნობილი „მთიდან დაშვება“, თბილისის იპოდრომიდან მაყურებლებს საშუალება მიეცემათ თვალი ადევნონ მოპირდაპირე მთების ფერდობებზე ჩასმულ ნოსანთა ... ბას. ამ ... სპორტში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართველი სპორტსმენები. ისინი ამჟამად ... „ცხენბურთს“, „ისინდს“, „ყაბახს“ და სხვ. მაყურებლები გაეცნობიან შუა აზიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების პოპულარულ ეროვნულ ცხენოსნურ ასპარეზობებს. ეს არის „კოკ-პარი“, სიფრ-პაპახი — თავისებური ცხენოსნური კალათბურთი, „ჩოჯანი“ და სხვ.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი ყველაზე ძლიერი გუნდები წარმოადგინეს რსფსრ რესპუბლიკამ, უკრაინამ, საქართველომ, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, ბელორუსიამ და სხვა რესპუბლიკებმა.

ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის საცხენოსნო სპორტის ცნობილი ოსტატები, რომლებმაც სახელი გაითქვეს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის არიან — სსრ კავშირის ჩემპიონები, სპორტის ოსტატები მოსკოველები გ. სამოილოვიჩი, ო. ოვოდოვი, ცნობილი სპორტსმენი ქალი მ. ბურდოვა, ა. სოროკინი, ი. სნეტკოვი, სსრ კავშირის ჩემპიონი რუსელ სამეულში („ტროიკა“), ორი საკავშირო შეჯიბრების რეკორდსმენი ოდესელი ვ. ეფიმოვი და სხვები.

ბელორუსიიდან ჩამოსულ ცნობილ სპორტსმენთა შორის არის თქვენი თანამემამულე კონსტანტინე ქოჩიაშვილი, შესანიშნავი მხედარი, რომელმაც ბერლინში გაბართულ საერთაშორისო ასპარეზობაში მშვიდობის პრიზი მოიპოვა.

საქართველოს გუნდიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სპორტის ოსტატი გ. ხაინდრავა, სპორტის ოსტატი ფ. ხოფერია, სსრ კავშირის ჩემპიონი ზ. ანშბა და სხვ.

— დასასრულ მინდა აღვნიშნო, — განაცხადა ლ. კაშტანოვმა, — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და თბილისის იპოდრომის დირექციის დიდი მუშაობა, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნეს ჩამოსულ სტუმრებს, რომ ისინი კარგად მოემზადონ ასპარეზობისათვის.



ჩემპიონატები • ტურნირები

საჭადრაკო სამყაროში

მთელი მსოფლიოს სპორტსმენები გაფაციცებით ამთავრებენ უკანასკნელ მზადებას ტოკიოს დიდი სპორტული დღესასწაულის წინ, სადაც პირველი სიტყვა მიეკუთვნება... წამმზომს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჭადრაკის საათი გაჩერებულია. სრულებითაც არა, საჭადრაკო ხეზონი მდიდარია საინტერესო ამბებით.

ჰავანა! ეს ულამაზესი ქალაქი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში სამუდამოდ შევიდა ჭადრაკის ისტორიაში. ჰავანაში დაიბადა საჭადრაკო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე — ხ. რ. კაპაბლანკა, უაღრესად პოპულარული მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის არაერთგზისი სტუმარი. სამწუხაროდ, კაპაბლანკა ნაადრევად, 53 წლისა გარდაიცვალა 1942 წელს.

გასულ საუკუნეში ჰავანაში იბრძოდნენ მსოფლიო პირველობისათვის მ. ი. ჩიგორინი და ვ. სტეინიცი. იმ ხანად კუბაზე გამგზავრება უდიდეს შორეულ მგზავრობად ითვლებოდა. მაგრამ ჩვენს დროში შორეული კუბა ჩვენთვის ყოველმხრივ მახლობელი გახდა.

თავისუფლების კუნძულზე ყოველწლიურად იმართება დიდი საჭადრაკო ფესტივალი ხ. რ. კაპაბლანკას ხსოვნის აღსანიშნავად. ამჯერად მოსალოდნელი იყო, რომ მ. ბოტვინიკი თავის სიცოცხლეში პირველად „გადაამტვრევდა“ ოკეანეს, მაგრამ იგი კარგად ვერა გრძნობს თავს და უკანასკნელ მომენტში უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე. ამიტომ, ჰავანის ტურნირზე ახლა ჩვენი მხოლოდ ორი გროსმაიტერია — ვ. სმისლოვი და მ. ტალმანოვი. როგორც ცნობილია, ვ. სმისლოვი მომდერალია, ხოლო მ. ტალმანოვი —პიანისტი. ასე რომ ჭადრაკიაბაგან თავისუფალ დროს გროსმაისტერებს შეუძლიათ პატარა კონცერტიც გამართონ.

ჭადრაკისადმი მთელი სიყვარულის მიუხედავად არ შეიძლება ითქვას, რომ ზაფხული ყველაზე შესაფერისი დროა ტურნირების მოსაწყობად. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენში უკანასკნელ ხანს პოპულარული ხდება ტურნირების მოწყობა სხვადასხვა საკურორტო ქალაქში. ამრიგად, შეიძლება ერთმანეთს შევუთავსოთ სასიამოვნო და სასარგებლო. მაგალითად, ივლისში მ. ტალი ამსტერდამის მომქანცველი ტურნირის შემდეგ ისვენებდა კისლოვოდსკში. იგი კისლოვოდსკის კარგი მთის ჰაერით სუნთქავდა, ნარზანის აბაზანებსაც იღებდა, მაგრამ არ დავიწყებია პირველი ადგილის დაჭერა კისლოვოდსკის ტურნირზე.

რა შეიძლება უფრო სასიამოვნო იყოს, ვიდრე ის, რომ ჭადრაკი ითამაშო და რა შედეგითაც უნდა დაამთავრო პარტია, საოცრად ლამაზ შავ ზღვაში გადაეშვა! ასეთი სიამოვნებას იღებენ ამ დღეებში საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი სოჭში, სადაც რ. ხოლმოვი ცხოვრობს.

ამ სტრიქონებს ვწერთ ოდესიდან — ე. გელერის საჭადრაკო ქალაქიდან. იგი ამ დღეებში ე. ვასიუკოვთან ერთად მიემგზავრება ვარნაში, რათა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გაიმართება ბერმანელ ფაშისტთაგან ბულგარეთის განთავისუფლების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად.

სეპტემბერში ძალიან დიდი ტურნირი იქნება ბელგრადში. მოელინა, რომ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბ. ლარსენი (რომელიც ესოდენ მშვენივრად თამაშობდა ამსტერდამში), ფ. ოლაფსონი, რომელიც სწავლის გამო უკანასკნელ წელს ძალიან მოუცლელად იყო, სამი საბჭოთა გროსმაისტერი — დ. ბრონშტეინი, ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი; მ. ფილიპი, ლ. საბო და... „თვით“ რობერტ ფიშერი! ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონმა უკანასკნელ თვეებში „თავი გამოიჩინა“ მხოლოდ იმით, რომ უარს ამბობდა ტურნირებში (უწინარეს ყოვლისა ამსტერდამის ტურნირში) მონაწილეობაზე, აგრეთვე თავისი „ფილოსოფიური“ გამოსვლებით პრესაში (ძირითადად ამერიკულ პრესაში) იმის შესახებ, რომ მხოლოდ მან, რობერტ ფიშერმა, უნდა ითამაშოს მატჩი მსოფლიოს პირველობაზე.

ფიშერი მეტად ახალგაზრდაა, და არ შეაფერის მხოლოდ ლაპარაკობდეს, მხოლოდ იმუქრებოდეს, „ყველას სეირს ვუჩვენებო“. თუ ახალგაზრდა გროსმაისტერი ბელგრადში ჩამოვა, ამით დაამტკიცებს, რომ ყველა შეხვედრას როდი გაუბრბის. სწორედ ასე ფიქრობს ჭადრაკის სამყარო. ლოს ანჟელოსში 1963 წელს და ბუენოსაირესში 1964 წელს მას შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა ტ. პეტროსიანსა და პ. კერესს, მაგრამ ორივეჯერ ორგანიზატორებს ვერ შეუთანხმდა რაღაც ჰონორარის გამო. განა შემთხვევითია ეს? ბობი, მოლაპარაკებას, ვაჭრობას კი არ უნდა გამოეკიდოთ, არამედ უფრო ხშირად ითამაშოთ ჭადრაკი!

ამ დღეებში სხვადასხვა ქალაქში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალები. ფინალური წელის ბოლოს გაიმართება კიევში.

ოქტომბრის დამლევს ჩვენი გროსმაისტერები ჭადრაკის ოლიმპიადაზე მიდიან ტელ-ავივში (ისრაელი). ჩვენი გუნდი „ცუდი როდია“: ტ. პეტროსიანი, მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, სათადარიგოები — ლ. შტეინი და ბ. სპასკი. დიახ, არა უშავს რა! იმდენად ძლიერი გუნდია, რომ მ. ტალიხანოვის, ე. გელერისა და ვ. კორჩნოისთვისაც კი არ აღმოჩნდა ადგილი...

მე მოკლედ გიამბეო, რა ხდება ამჟამად საჭადრაკო სამყაროში, სად არიან, რას აკეთებენ ჩვენი გროსმაისტერები.

სხვისა არ ვიცი და მე კი სოხუმში ვიმდგიარ! უკავკასიოდ ახლა ჭადრაკის არც ერთი საკითხი არ გადაიჭრება. სწორედ სოხუმში იყრიან თავს „საშიში ქალთა ელემენტები“, რომლებსაც სურთ (ყველას სურს) მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ნაართვან ნონა გაფრინდაშვილს.

იმით შორის, ვისაც ნონას „ხელყოფა“, სურს, იქნება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ექვსეული, ორი ძლიერი იუგოსლავიელი, ორი ამერიკელი, მოჭადრაკე ქალები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, არგენტინიდან.

ძალიან მოხარული ვარ, რომ შემიძლია დავეწერო ამ დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ღღესასწაულს. „ქალთა საკითხებში“ დიდ ექსპერტად არ მიმიჩნია თავი, მაგრამ როგორც მეთვალყურე შევეცდები ამჯერად ვუპატაკო „კომუნისტის“ მკითხველებს სოხუმის „ქალთა საჭადრაკო ფრონტიდან“

ვღელავ, მაგრამ ვეცდები დავძლიო ეს პასუხსაგები ამოცანა.

სალო ფლორი.

„კომუნისტის“ პოტრეტი

მატჩი ქუთაისში

„ტორპედო“ (ქუთაისი) — **„შინიკი“** (იაროსლავლი) 0:2 (0:1). ქუთაისი. 2 სექტემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი **მ. ფლიპპინი** (ოდესა).

„შინიკი“ — ჩისტიაკოვი, შელეზოვი, მასლეონკინი, ლუკანინეკი, არტემიევი, მიტინი, შლინი, ისაევი, ფედოსოვი, ეროროტლინი (ლინიაევი); ატამანჩენკი; **„ტორპედო“** ურუშაძე, ლოსაბერიძე, წიგნეშვილი, სიამაშვილი, ოდიკაძე, კუტივაძე, ნიშნიანიძე, ავალიანი (დუნდუა), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

ბრძოლისათვის იაროსლავლელები უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ და გამარჯვებაც მათ მოიპოვეს 2:0. ამ ორი ქუდით „შინიკმა“ ერთბაშად მეთექვსმეტედან მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლა.

ორივე გოლის ავტორი იყო მარჯვენა გარემარცხი შილინი. მიღებულ ბურთებში სცოდავდნენ „ტორპედოს“ მცველები და მეკარე ურუშაძე.

ლიდერის დამარცხება

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულები დიდი სპორტული პაექრობის მოწმენი იყვნენ. საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი მოსკოვის „ტორპედო“ და სსრ კავშირის ჩემპიონი დედაქალაქის „დინამო“.

მატჩი ხასიათდებოდა ტემპიანი, მაღალტექნიკური ბრძოლით. გამმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

თასი — „მეშახტე“

დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში. გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეიდგა ფინალური მატჩი, თამაშობდნენ მახარაძის „მერცხალი“ და ტყიბულის „მეშახტე“.

ტყიბულელებმა აღმავლობით ჩაატარეს ბრძოლა, გამარჯვეს 2:1 და თასი მოიპოვეს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო
4 სექტემბერი

პირველი პროგრამით 06.35 — ს. ცინცაძე. საკვარტეტო პიესები, 08.30 — ს. რახმანინოვი. პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 09.15 — ნაწყვეტები ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“, 11.15 — ჰაიდნის სიმფონიები კვარტეტი სოლ-მინორი, დიეტრიხსტეინტი სიმ-ბემოლ მაჟორი და სიმღერები, 12.10 — „ბეზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.20 — კონცერტი გ. სვირიდოვის ნაწარმოებებიდან, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — კონცერტი ნ. ცომაიას, მ. ნაკაშიძის და ბ. კრავეიშვილის მონაწილეობით, 18.45 — რუსული ხალხური სიმღერები, 19.30 — გადაცემა — „რუსთაველი მშენებლები პლეზუმს“, 19.45 — ფ. კაბალევსკი. სიმფონიური სიუიტა „კომედიანტები“, 20.15 — ქართველ კომპოზიტორთა სავიოლინო პიესები მ. იაშვილის შესრულებით, 20.30 — „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“, 21.00 — „ძილის-პირული“, 21.15 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — გრ. ჩიქოვანის მოთხრობა „შურისგება“, 23.30 — ა. გალკურჩისა და ე. კარუზოს კონცერტი.

ტელევიზია
4 სექტემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „კროშის თავგადასავალი“, 19.25—გადაცემა „ეტი ყურადღება ხალხურ სპორტს“. 19.40 — კინონარკვევი „მოსახლეობის მოქმედება სამოქალაქო დაცვის სიგნალის დროს“, 19.50 — „ჩვენი სტუმრები“, 20.00 — კინონარკვევი. 20.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.25 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“ № 32, 20.35 — გადაცემა „ვვიყვარდეს ჩვენი ქალაქი“, 21.00 — მხატვრული ფილმი „გასროლა ნისლში“, 20.25 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ტორფი სხივური დაავადების წინააღმდეგ

დღემდე ტორფისადმი ინტერესს იჩენდნენ სოფლის მეურნეები და ენერგეტიკოსები. საფიქრებელია, რომ ამიერიდან ტორფისადმი არანაკლებ ინტერესს გამოიჩენენ ბიოფიზიკოსები, ბიოქიმიკოსები, ფარმაკოლოგები და ექიმები. საქმე ის არის, რომ ეროსლავის (პოლონეთი) უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებელში აღმოაჩინეს ტორფის ახალი, ჯერ უცნობი თვისება. აღმოჩნდა, რომ ტორფში შედიან ისეთი ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც შეუძლიათ ადამიანი და ცხოველები დაიფარონ რადიოაქტიურობის დამოუკიდელი მოქმედებისაგან და ხელი შეუწყონ ავადმყოფთა განკურნებას ხვეული დაავადებისაგან.

ამ აღმოჩენამ ფართო ყურადღება მიიქცია. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ტორფის ასეთი თვისების გახსნა გააადვილებს ცოცხალ ქსნეზე გამოსხივების ზემოქმედების მექანიზმის საიდუმლოების შესწავლას და სხივური დაავადებისადმი ადამიანის ორგანიზმის შედეგობის საშუალების გამონახვას.

უთო დასაუთოებელის დამნამავით

საყოფაცხოვრებო ხელაბაყოთა კიევის ქარხნის სპეციალისტებმა გააკეთეს და მასობრივად უშვებენ ახალ ელექტროუთოს, რომელსაც თერმორეგულატორთან ერთად აქვს გასაუთოებელი ქსოვილების დასანამავი მოწყობილობა. სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშთა საკავშირო პავილიონის საექსპერტო საბჭომ მოიწონა კიეველი ელექტროტექნიკოსების ეს მიღწევა და მიიღო დადგენილება ახალი უთოს მასობრივად გამოშვების შესახებ.

სიახლეს ამ უთოში წარმოადგენს ის, რომ ცალკე დადგმული ჭურჭლიდან, რომელიც 100 გრამ წყალს იტევს. წყლის წვეთები შედის უთოს შიგნით მოწყობილ საორთქლებელში, აქედან უთოს ფსკერზე გაკეთებული სარქველიდან წვეთებიდან წარმოქმნილი ორთქლი გაუთოების პროცესში წინასწარ ატენიანებს საუთოებელს. თუ საუთოებლ